დაკარგული ალიანსი: პოლონეთ-საქართველოს დიპლომატიური კავშირი და Intermarium-ი (1918-1921)[1]

ხათუნა დიასამიძე
ისტორიის დოქტორი, ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოც. პროფესორი
ელ. ფოსტა: khatuna.diasamidze@bsu.edu.ge
ORCID: https://orcid.org/0000-0002-9966-0468

„მოშვებულნი აღმოსავლეთს ჩვენ მივილტვოდით მუდამ დასავლეთისკენ. ამ ლტოლვილებით არის დაღარული ყოველი ხვეული ჩვენი ისტორიის; ...ჩვენ მუდამ გვქონდა ტრაგედია გეოგრაფიის... ჩვენ შევჩერდით შუა გზაზე: აღმოსავლეთსაც მოვსცილდით და ვერც დასავლეთს ვეზიარეთ...“

გრ. რობაქიძე (ევროპის სოციალისტურ დელეგაციას მწერალთა სახელით, თბილისი, 1920 წლის სექტემბერი)

აბსტრაქტი: სტატიაში შესწავლილია 1918-1921 წლებში საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკასა და პოლონეთის რესპუბლიკას შორის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის დამყარების მცდელობები იოზეფ პილსუდსკის Intermarium-ის გეოპოლიტიკური კონცეფციის ფარგლებში. გაანალიზებულია, როგორ გადაიკვეთა პოლონეთის და საქართველოს სტრატეგიული ინტერესები იოზეფ პილსუდსკის ფედერალისტურ ხედვასთან და რა ადგილი ეკავა პოლონურ-ქართულ სამხედრო-პოლიტიკურ თანამშრომლობას ამ გეოპოლიტიკურ კონცეფციაში. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა 1920 წლის გაზაფხულზე ტიტუს ფილიპოვიჩის დიპლომატიურ მისიას, როგორც სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის დამყარებისკენ მიმართულ უმნიშვნელოვანეს ინიციატივას. კვლევა აჩვენებს, რომ აღნიშნული ინიციატივის წარუმატებლობა განაპირობა ურთიერთდაკავშირებულმა სამხედრო, გეოპოლიტიკურმა და ლოჯისტიკურმა ფაქტორებმა, მათ შორის ვარშავის ბრძოლაში პოლონეთის გამარჯვების შემდეგ საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილებამ, საერთაშორისო უსაფრთხოების ეფექტიანი გარანტიების არარსებობამ, სამხრეთ კავკასიაში ბოლშევიკური რუსეთის ექსპანსიამ და სახმელეთო თუ საზღვაო კომუნიკაციების სირთულემ. დასკვნის სახით ნაჩვენებია, რომ მიუხედავად საქართველოსა და პოლონეთის ორმხრივი სტრატეგიული ინტერესებისა, აღნიშნულმა გარემოებებმა შეუძლებელი გახადა როგორც სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბება, ისე Intermarium-ის ფარგლებში საქართველოსთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის სახელმწიფოებრივ დონეზე განხორციელება.

საკვანძო სიტყვები: პოლონეთი; საქართველო; Intermarium; იოზეფ პილსუდსკი; სამხედრო ალიანსი; დიპლომატიური ურთიერთობები; საბჭოთა რუსეთი.

[1] კვლევა განხორციელდა შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო პროექტის – „პოლონელების დეპორტაცია საქართველოში და პოლონურ-ქართული გეოპოლიტიკური თანამაშრომლობა (1830-1921)“ ფარგლებში. პროექტის შიფრია FR-22-9832

***

შესავალი. 1914-1918 წლები არაერთი ხალხის ისტორიაში აღმოჩნდა გარდამტეხი. დიდი იმპერიების (ავსტრია-უნგრეთი, გერმანია, რუსეთი, ოსმალეთი) ადგილას გაჩნდა ახალი, ერთმანეთისგან განსხვავებული ტერიტორიული, დემოგრაფიული და პოლიტიკური მასშტაბის, თუმცა, რიგ შემთხვევაში, მსგავსი ისტორიული გამოცდილების მქონე სახელმწიფოები. მათ მიზანს თავიდანვე წარმოადგენდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის და გარემოებათა სასურველი თანხვედრის შედეგად მოპოვებული დამოუკიდებლობის შენარჩუნება. ამ ქვეყნების ერთი ნაწილის ისტორია თვითგამორკვევის იდეის რეალიზების საინტერესო მაგალითად დარჩა, მეორე ნაწილისა კი სუვერენული სახელმწიფოს მშენებლობისა და მისი საერთაშორისო აღიარებისათვის ბრძოლის წარუმატებელ გამოცდილებად იქცა.

ერთმანეთისგან ათასობით კილომეტრით დაშორებულ, 1918 წლის 26 მაისს და 11 ნოემბერს დამოუკიდებლობააღდგენილ საქართველოსა და პოლონეთის რესპუბლიკებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო: მდიდარი ისტორიული წარსული; რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში იძულებით ყოფნის, ისტორიულ-სამართლებრივი თვალსაზრისით განსხვავებული, თუმცა ეროვნული ღირსების შემლახველი გამოცდილება; პირველი მსოფლიო ომის შედეგად შექმნილი ახალი გეოპოლიტიკური რეალობის პირობებში დამოუკიდებლობის მოპოვება და საერთაშორისო აღიარებისთვის ბრძოლა; ბოლშევიკური რუსეთის ექსპანსიონიზმის პირობებში სახელმწიფოებრიობის დაცვა. მსგავსი აღმოჩნდა მათი შემდგომი ბედიც: 1921 წელს საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაცია და დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია, ხოლო 1939 წელს ნაცისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის მიერ პოლონეთის დაპყრობა, მისი დამოუკიდებლობის ლიკვიდაცია და ტერიტორიის ორ ოკუპანტ სახელმწიფოს შორის განაწილება. ამგვარად, საქართველომ და პოლონეთმა, სახელმწიფოებრივი არსებობის თვალსაზრისით, არსებითად მსგავსი ისტორიული გზა გაიარეს. თუმცა, ამ ტრაგიკულ მოვლენებამდე ორივე ახლადშექმნილმა სახელმწიფომ, საკუთარი უსაფრთხოებისა და ეროვნული ინტერესების დაცვის მიზნით, იმდროინდელი რთული საერთაშორისო ვითარების პირობებში, ერთმანეთთან თანამშრომლობის დამყარება სცადა. 1918-1920 წლებში საბჭოთა რუსეთისგან მომდინარე საერთო საფრთხემ ორ სახელმწიფოს შორის დიპლომატიური ურთიერთობების განვითარებისათვის ხელსაყრელი წინაპირობები შექმნა, რასაც შედეგად მოჰყვა მოკლევადიანი, თუმცა მნიშვნელოვანი თანამშრომლობა.

დამოუკიდებლობააღდგენილი პოლონეთის რესპუბლიკის მთავრობის მეთაურმა იოზეფ პილსუდსკიმ (1867-1935) მიზნად დაისახა, საბჭოთა რუსეთი რაც შეიძლება დისტანცირებული ყოფილიყო იმ ადგილიდან, სადაც პოლონური სახელმწიფო ყალიბდებოდა, რომ თავიდან აეცილებინა რუსეთის მიერ პოლონეთის სუვერენიტეტის ხელალახალი შეზღუდვა (Borzecki, 2008, p. 28). აღნიშნულის მისაღწევად საუკეთესო გზას პილსუდსკი რუსული სახელმწიფოს დასუსტებაში ხედავდა. პოლონელი ლიდერის გეოპოლიტიკური ხედვის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდა რუსეთისგან არარუსი ხალხებით დასახლებული ტერიტორიების ჩამოშორება და პოლონეთის ეგიდით, ანტირუსული სამხედრო-პოლიტიკური კოალიციის ფორმირება, რომელშიც ბალტიისპირეთის ქვეყნები და ფინეთიც გაერთიანდებოდნენ. იმავდროულად, პილსუდსკი ცდილობდა რუსი ემიგრანტი პოლიტიკოსების დარწმუნებას, რომ მიეღოთ მკაცრად ეთნიკურ საზღვრებში მოქცეული რუსული სახელმწიფოს კონცეფცია, რომელსაც ის „მესამე რუსეთს“ უწოდებდა, წითელი ან თეთრი რუსეთისგან განსხვავებით (Borzecki, 2008, p. 28).

ერთი შეხედვით რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლის მრავალსაუკუნოვანი ტრადიცია, სამხედრო პოტენციალი, კულტურული და ეკონომიკური რესურსები, ევროპის წამყვან სახელმწიფოთა მხარდაჭერა პოლონეთს საშუალებას აძლევდა, დახმარებოდა უკრაინის, ბელორუსის, ლატვიისა და ლიეტუვის ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობებს. ამ გზით ვარშავა მიზნად ისახავდა ნებაყოფლობითი ფედერაციის შექმნას, სადაც მას წამყვანი როლი ექნებოდა უმნიშვნელოვანესი

პოლიტიკური და სამხედრო საკითხების გადაწყვეტისას. აღნიშნული გაერთიანების ფორმირება კი მნიშვნელოვნად შეზღუდავდა რუსეთის ექსპანსიონისტურ გეგმებს ამ რეგიონში (Borzecki, 2008, p. 28).

პილსუდსკის გეოპოლიტიკური ხედვა ისტორიაში „ინტერმარიუმის" – Intermarium – „მიენძიმოჟე" − Międzymorze-ს სახელწოდებით არის ცნობილი, რაც ქართულად ნიშნავს „ზღვათაშორისს". გეოგრაფიული თვალსაზრისით, იგი ბევრად უფრო ვრცელ არეალს მოიცავდა, ვიდრე ზემოხსენებული ფედერაციის პროექტი. მართალია, თავდაპირველად მხოლოდ ბალტიისა და შავ ზღვებს შორის არსებული ტერიტორიების გაერთიანების იდეას წარმოადგენდა, მაგრამ, პილსუდსკის გაფართოებულ გეგმებში Intermarium-ის კონცეფცია უკვე გულისხმობდა ბალტიის, შავ და ადრიატიკის ზღვებს შორის მოქცეულ სახელმწიფოთა ფედერაციული თუ კონფედერაციული გაერთიანების შექმნას. ამ ბლოკის მიზანი აღმოსავლეთით – ბოლშევიკური რუსეთის, ხოლო დასავლეთით – დროებით დამარცხებული, მაგრამ რევანშისტულად განწყობილი გერმანიის მხრიდან მომავალი საფრთხეების მოგერიება იყო. გეოგრაფიული მდებარეობა და შავ ზღვაზე გასასვლელი, პილსუდსკის ანტირუსულ სტრატეგიაში საქართველოს პოტენციურად მნიშვნელოვან სამხრეთ-აღმოსავლეთ პარტნიორად აქცევდა.[2]

1920 წლის მარტის ბოლოს ვარშავამ თბილისში ტიტუს ფილიპოვიჩის მეთაურობით დიპლომატიური მისია გამოგზავნა. მხარეებმა სამხედრო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობა მოლაპარაკებების ფარგლებში აქტიურად განიხილეს, თუმცა, პროცესის დასრულება ვერ მოხერხდა. 1920 წლის აპრილის ბოლოს, აზერბაიჯანის გასაბჭოებისა და ბაქოში ტ. ფილიპოვიჩის დაპატიმრების შემდეგ, მოლაპარაკებები შეწყდა. 1921 წლის 11 თებერვალს წითელი არმია საქართველოში შემოიჭრა, ხოლო 25 თებერვალს თბილისი დაიკავა. შედეგად, პოლონეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შექმნის მცდელობა ამ ეტაპზე ჩაიშალა.

წინამდებარე ნაშრომის მიზანია 1918-1921 წლებში პოლონეთ-საქართველოს შორის სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბების მცდელობებისა და მისი ჩაშლის მიზეზების შესწავლა. კვლევის ფარგლებში გაანალიზებულია, როგორ გადაიკვეთა პოლონეთის და საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური ინტერესები პილსუდსკის Intermarium-ის კონცეფციასთან და რა ფაქტორებმა შეუშალა ხელი ამ თანამშრომლობის ინსტიტუციონალიზაციას.

1918-1921 წლების პოლონურ-ქართული ურთიერთობების „ინტერმარიუმის" (Intermarium) კონტექსტში შესწავლის ისტორიოგრაფია საკმაოდ მწირია. ამასთანავე, თვალში საცემია პოლონელი და ქართველი მკვლევრების განსხვავებული აქცენტები. ქართული ისტორიოგრაფია, მეტწილად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის დიპლომატიური აღიარების პრობლემატიკასა და ამ პროცესში კონკრეტული პირების (მისიების ხელმძღვანელები, ემიგრანტები) როლს იკვლევს. პოლონურ სამეცნიერო ლიტერატურაში კი დომინირებს პილსუდსკის ფედერალისტური კონცეფციის ანალიზი და კავკასიის – განსაკუთრებით კი საქართველოს – სტრატეგიული ფუნქციის შეფასება ანტისაბჭოთა სტრატეგიის ჭრილში. გარდა ამისა, აშკარაა პირველწყაროების შედარებით სუსტი ურთიერთგამოყენებაც. წარმოდგენილ ნაშრომში შევეცადეთ პოლონურ-ქართული ურთიერ-

[2] ვ. მატერსკი თავის სტატიაში „ტიტუს ფილიპოვიჩის მისია თბილისში (1920 წლის აპრილი)" აღნიშნავს, რომ „ქართველებისა და პოლონელების ისტორიული ბედის მსგავსებასა და რომანოვების იმპერიის ბატონობისგან გათავისუფლების საქმეში მათი თანამშრომლობის შესაძლებლობას იოზეფ პილსუდსკიმ ყურადღება დიდი ხნით ადრე მიაქცია, ვიდრე ამისთვის რეალური პირობები შეიქმნებოდა. როდესაც იგი ემიგრაციაში, ლონდონში (1891-1903), პოლონეთის დამოუკიდებლობისათვის მუშაობდა, თავისი უახლოესი თანამოაზრეების – ტიტუს ფილიპოვიჩისა და ვიტოლდ იოდკო-ნარკევიჩის მეშვეობით დაამყარა კავშირები ქართველ დამოუკიდებლობისთვის მებრძოლ მოღვაწეებთან". პილსუდკის მხრიდან ქართველებით დაინტერესება, როგორც ისტორიული ბედის მსგავსებით, ისე ამიერკავკასიაში გადასახლებულ პოლონელთა მიმართ ქართველების ტრადიციულად კეთილგანწყობილი, მეგობრული დამოკიდებულებით უნდა ყოფილიყო განპირობებული (Materski, 1991, p. 26).

თობების განხილვა Intermarium-ის სტრატეგიული კონცეფციის ფარგლებში და მათი შეფასება არა მხოლოდ ორმხრივი დიპლომატიის, არამედ რეგიონული უსაფრთხოების კონტექსტშიც.

პოლონეთსა და საქართველოს შორის 1918-1921 წლებში სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბების მცდელობა, მოლაპარაკებების მიმდინარეობა, ტ. ფილიპოვიჩის მისიის როლი და პროექტის ჩაშლის მიზეზები დღემდე კომპლექსური კვლევის საგანი არ გამხდარა. არსებული ნაშრომები უმეტესად ყურადღებას ამახვილებს Intermarium-ის კონცეფციაზე, პოლონეთის აღმოსავლურ პოლიტიკაზე ან ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების ცალკეულ ასპექტებზე, მაშინ როდესაც პოლონეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის მცდელობა ერთიან კვლევით ჭრილში ნაკლებად არის გაანალიზებული.

წინამდებარე ნაშრომი აღნიშნული ხარვეზის ნაწილობრივ შევსებას ისახავს მიზნად. იგი ეფუძნება საქართველოს ეროვნული არქივის საისტორიო ცენტრალურ არქივში დაცულ დოკუმენტებს, პოლონურ დოკუმენტურ გამოცემებს, მემუარულ წყაროებს, პერიოდულ პრესასა და ქართულ, პოლონურ და ინგლისურენოვან სამეცნიერო ლიტერატურას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დოკუმენტების შედგენის გარემოებებს, ავტორობას, ადრესატს, კონფიდენციალურობის ხარისხსა და ოფიციალური პრესის ცნობებთან მათ შესაბამისობას. პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობები გაანალიზებულია ორმხრივი ინტერესებისა და პილსუდსკის ფედერალისტური პოლიტიკის ურთიერთმიმართების ასპექტში. ამგვარი ანალიზი საშუალებას იძლევა, შეფასდეს არა მხოლოდ ორმხრივი ურთიერთობების დინამიკა, არამედ Intermarium-ის კონცეფციის პრაქტიკული განხორციელების შესაძლებლობები სამხრეთ კავკასიაში.

მეთოდები. კვლევა ეფუძნება თვისებრივ ისტორიულ მეთოდოლოგიას და იყენებს ისტორიულ-კრიტიკულ და შედარებით ისტორიულ მეთოდებს, აგრეთვე წყაროთმცოდნეობით ანალიზს.

კვლევის ძირითად წყაროთა ბაზას წარმოადგენს ქართული და პოლონური საარქივო დოკუმენტები, დიპლომატიური მიმოწერა, ოფიციალური აქტები, იმდროინდელი ქართული და უცხოური პრესის მასალები, მემუარები. წყაროები გაანალიზებულია ისტორიზმისა და ობიექტურობის პრინციპების დაცვით, მათი წარმომავლობის, სანდოობისა და ინფორმაციული ღირებულების კრიტიკული შეფასების საფუძველზე. სხვადასხვა ტიპისა და წარმომავლობის წყაროების ურთიერთშეჯერების გზით განხორციელდა 1918-1921 წლებში პოლონეთსა და საქართველოს შორის სამხედრო-დიპლომატიური თანამშრომლობის მცდელობის მიზეზების, განვითარების დინამიკისა და წარუმატებლობის განმაპირობებელი ფაქტორების რეკონსტრუქცია და ინტერპრეტაცია.

რაც შეეხება საკითხთან დაკავშირებულ სამეცნიერო ლიტერატურას, კვლევაში გამოყენებულია ზ. ავალიშვილის, ნ. კირთაძის, ბ. კობახიძის, ო. ჯანელიძისა და სხვა ქართველი ისტორიკოსების ნაშრომები, რომლებშიც განხილულია საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო პოლიტიკისა და საერთაშორისო მდგომარეობის საკითხები. პილსუდსკის აღმოსავლური პოლიტიკის, Intermarium-ის კონცეფციისა და პოლონეთის გეოპოლიტიკური ხედვების შესწავლაში ვეყრდნობით მ. ძევანოვსკის, ი. ბორზენცკის, ფ. კაზემზადეს, ა. ვაინგერტნერს, სარალიძეს და სხვა ავტორებს. პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობების, ტ. ფილიპოვიჩის მისიისა და შესაბამისი დოკუმენტური მასალის კვლევისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ვ. მატერსკისა და მ. ვლოდარჩიკის ნაშრომებს.

მსჯელობა. ტერმინი *Intermarium, როგორც ითქვა,* ლათინურად ზღვებს შორის არსებულ სივრცეს ნიშნავს და თავდაპირველად ბალტიისა და შავ ზღვებს (მოგვიანებით გაფართოვდა ადრიატიკის ზღვამდეც) შორის განლაგებულ სახელმწიფოთა გაერთიანების იდეას გულისხმობდა. Intermarium-ის ისტორიული წინაპირობების მოკლე მიმოხილვა აუცილებელია, რათა გამოიკვეთოს ის პოლიტიკური იდეები და პროექტები, რომლებიც სხვადასხვა ისტორიულ პერიოდში ჩამოყალიბდა და გარკვეულწილად აისახა პილსუდსკის გეოპოლიტიკური ხედვის ფორმირებაზე. ამ კონცეფციის წარმოშობა არ უკავშირდება პოლონეთის ისტორიის მხოლოდ ერთ კონკრეტულ მომენტს ან

პიროვნებას; მისი სათავეები ჯერ კიდევ პოლონეთ-ლიეტუვის თანამეგობრობის (Rzeczpospolita) ეპოქაში იღებს სათავეს.

მაგალითისთვის, XVI საუკუნის შუა ხანებში, მოსკოველ მთავართა პრეტენზიებმა აღმოსავლეთ სლავებით დასახლებულ იმ მიწებზე, რომლებიც მოცემული მომენტისათვის რეჩ-პოსპოლიტას შემადგენლობაში შედიოდა, პოლონეთ-ლიეტუვას სახელმწიფო სტრუქტურის შესახებ აქამდე უყურადღებოდ დატოვებული კითხვები წამოჭრა. კერძოდ, რეჩ-პოსპოლიტა უნდა დარჩენილიყო დუალისტურ სახელმწიფოდ, თუ აღმოსავლეთ სლავურ მოსახლეობასაც დათმობოდა სათანადო ადგილი მოცემულ კავშირში? ეს კითხვა მჭიდრო კავშირში იყო იმ პრობლემასთანაც, თუ ვინ იყო კიევის კანონიერი მემკვიდრე (Dziewanowski, 1969, p. 379).

როგორც პოლონეთ-ლიეტუვას, ისე მოსკოვს საკუთარი პოზიციების გასამყარებლად არაერთი არგუმენტის მოყვანა შეეძლო. მოსკოვის პრეტენზიები არსებითად დინასტიურ და რელიგიურ ხასიათს ატარებდა. მათი შეფასებით, ლიეტუველებმა და პოლონელებმა ყოფილი კიევის რუსეთის დასავლეთი სეგმენტები „თათრული უღლისა“ და ადგილობრივი მთავრების დროებითი სისუსტის წყალობით შეიერთეს. მოსკოვის მეფე თავს კიევის ერთადერთ კანონიერ მემკვიდრედ, „რუსული მიწების გამაერთიანებლად“ და იმ ტერიტორიების მბრძანებლად მიიჩნევდა, სადაც ოდესღაც რიურიკების დინასტია მართავდა. ბიზანტიის დაცემის შემდეგ კი მოსკოვის დიდი მთავარი მართლმადიდებლური ეკლესიის უპირატეს დამცველად მოგვევლინა. შესაბამისად, მის მოვალეობად განისაზღვრა მართლმადიდებელი მოსახლეობის „ლათინური უღლისგან“ გათავისუფლება და მათი საკუთარი კვერთხის ქვეშ გაერთიანება (Dziewanowski, 1969, p. 379).

რუსეთის მსგავსად, საკუთარი ტერიტორიული პრეტენზიების ისტორიული დასაბუთების მცდელობით გამოირჩეოდა პოლონური მხარეც, რაც განსაკუთრებით ნათლად გამოჩნდა XIX საუკუნის პოლონური ემიგრაციის, კერძოდ Hôtel Lambert-ის (პარიზი) დაჯგუფების სტრატეგიაში.

ამ დაჯგუფების ინიციატივითა და დაახლოებით ათწლიანი მუშაობის შემდეგ, 1859 წელს გამოიცა რუკა „Karta dawnej Polski“. რუკის შექმნა რამდენიმე მიზანს ემსახურებოდა: 1. პოლონეთ-ლიეტუვას თანამეგობრობის საზღვრების დემონსტრირებას 1772 წლის მდგომარეობით და პოლონეთის დამოუკიდებლობის იდეის პოპულარიზაციას; 2. რუკაზე დატანილ ტერიტორიებზე პოლონეთის ისტორიული უფლების დოკუმენტურ დასაბუთებას და არსებულ საზღვრებში პოლონეთის დამოუკიდებლობის აღდგენის აუცილებლობაზე ხაზგასმას; 3. აჯანყების შემთხვევაში რუკის პრაქტიკულ ინსტრუმენტად გამოყენებას (1831 წლის ნოემბრის აჯანყების ჩაშლის ერთ-ერთ მიზეზად პოლონეთის ერთიანი სტანდარტული რუკის არარსებობასაც ასახელებენ) (Zając, 2020, pp. 327-354).

ვფიქრობთ, რომ Hôtel Lambert-ის პოლიტიკური ხედვა შეიძლება ჩაითვალოს Intermarium-ის კონცეფციის ერთ-ერთ წინამორბედად, რადგან ორივე ეფუძნებოდა რუსეთის გეოპოლიტიკური გავლენის შეზღუდვის იდეას დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამშრომლობის გზით.[3] თუმცა Hôtel Lambert-ის პროექტი, უპირველესად, პოლონეთის სახელმწიფოებრიობის აღდგენის მიზანს ემსახურებოდა, მაშინ როდესაც Intermarium უკვე სახელმწიფოთაშორისი უსაფრთხოების სისტემისა და რეგიონული თანამშრომლობის ჩამოყალიბებას ისახავდა მიზნად. ამასთანავე, ეს კონცეფციები წარმოადგენდა არა ერთი და იგივე პოლიტიკური პროექტის უწყვეტ განვითარებას, არამედ სხვადასხვა ისტორიულ ვითარებაში ჩამოყალიბებულ, შინაარსობრივად ნაწილობრივ მსგავს, თუმცა განსხვავებული მიზნებისა და გეოპოლიტიკური კონტექსტის მქონე ხედვებს.

[3] პოლონელი ისტორიკოსი პ. ვაინგერტნერი Hôtel Lambert-ის დაჯგუფების ლიდერის – თავად ადამ იეჟი ჩარტორისკისთან დაკავშირებით აღნიშნავს, რომ იგი იზიარებდა მომავალი რესპუბლიკის ფედერაციული მოწყობის გეგმებს და საფრანგეთის, ინგლისის და თურქეთის მხარდაჭერით ჩეხეთთან, სლოვაკეთთან, უნგრეთთან, რუმინეთთან და სამხრეთ სლავების ხალხებთან ერთად ფედერაციის შექმნის საკითხსაც განიხილავდა (Waingertner, 2022, p. 34).

Intermarium-ის გეოპოლიტიკური კონცეფციის საბოლოო სახით ჩამოყალიბება უკავშირდება ი. პილსუდსკის – 1918-1922 წლებში პოლონეთის სახელმწიფოს მეთაურს. მიუხედავად სოციალისტურ მოძრაობაში მისი აქტიური წარსულისა, იგი, უპირველეს ყოვლისა, ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობაზე ორიენტირებული პოლიტიკური ლიდერი იყო. ამასთან, ნებისმიერ სხვა პოლონელზე მეტად წარმოადგენდა იმ პოლიტიკურ მოღვაწეს, რომელიც როგორც რუსეთის, ისე მოგვიანებით (1917 წლიდან) გერმანიისთვისაც მიუღებელი აღმოჩნდა (Wiatr, 1988, p. 12). პილსუდსკი ომისშემდგომი ევროპის გეოგრაფიული ცვლილებების ინტერპრეტაციას პოლონეთის ეროვნული ინტერესებიდან და უსაფრთხოებიდან გამომდინარე ახდენდა: ბოლშევიზმისა და გერმანული რევანშიზმისგან პატარა სახელმწიფოების ცალ-ცალკე დაცვა ვერ მოხერხდებოდა. მხოლოდ ერთიანი სისტემის ამოქმედება შეიძლება გამხდარიყო ახლადშექმნილი სახელმწიფოების დამოუკიდებლობის შენარჩუნების გარანტი. სწორედ ამ პოლიტიკური ხედვიდან გამომდინარეობდა საქართველოს მიმართ პოლონეთის დაინტერესებაც, რადგან კავკასია პილსუდსკის აღმოსავლური სტრატეგიის პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა.

პილსუდსკის სტრატეგიული კონცეფცია ორ ურთიერთდაკავშირებულ კომპონენტს ეფუძნებოდა. პირველი იყო „ინტერმარიუმი“ (Intermarium), რომლის გეოგრაფიული არეალი სხვადასხვა პერიოდში ბალტიისა და შავი ზღვების სივრციდან ადრიატიკის მიმართულებითაც ფართოვდებოდა და აქ მდებარე ქვეყნების სამხედრო-პოლიტიკურ ინტეგრაციას ისახავდა მიზნად, ხოლო მეორე – „პრომეთეიზმი“ (Prometheism), რაც ბოლშევიკური ხელისუფლების დესტაბილიზაციისა და დასუსტების მიზნით ყოფილი რუსეთის იმპერიის საზღვრებში მოქცეული ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მხარდაჭერას გულისხმობდა. თუმცა ღიად რჩებოდა კითხვა, თუ რა ფორმით უნდა განხორციელებულიყო ეს გაერთიანება – ფედერაციის თუ კონფედერაციის სახით. პილსუდსკი სხვადასხვა ეტაპზე ორივე მოდელს განიხილავდა, თუმცა არც ერთის საბოლოო ინსტიტუციური ფორმა მკაფიოდ არ განუსაზღვრავს. ფედერაციული მოდელი, სადაც პოლონეთი წამყვან სახელმწიფოდ მოიაზრებოდა, აშკარად ეწინააღმდეგებოდა ახლადშექმნილ სახელმწიფოთა სუვერენიტეტს; კონფედერაციული მოდელი კი – ნებაყოფლობითი ერთობლიობა – სამხედრო-ლოჯისტიკური თვალსაზრისით პრობლემური იყო. Intermarium-ის განხორციელებას მნიშვნელოვნად აფერხებდა მონაწილე სახელმწიფოთა განსხვავებული საგარეო-პოლიტიკური ინტერესები და მათ შორის არსებული ტერიტორიული დავები (მაგალითად, პოლონეთ-ლიეტუვის, პოლონეთ-უკრაინისა და პოლონეთ-ჩეხოსლოვაკიის ურთიერთობებში არსებული უთანხმოებები).[4]

Intermarium-ის კონცეფციისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა შავ ზღვაზე გასასვლელს. ბალტიისპირეთის სახელმწიფოები – ფინეთი, ესტონეთი და ლატვია – ქმნიდნენ ჩრდილოეთის ფრთას (ზოგიერთი ავტორის მიხედვით, დამოუკიდებელ ჩრდილოეთ ბლოკს); პოლონეთი, ლიეტუვა და ბელორუსი წარმოადგენდნენ ალიანსის ბირთვს; უკრაინა იყო მისი სტრატეგიული ღერძის გაგრძელება სამხრეთის მიმართულებით, ხოლო რუმინეთი და ბულგარეთი – სამხრეთის მიმართულების ძირითადი საყრდენი. ამგვარად ყალიბდებოდა სამი ზღვის – ბალტიის, შავი და ადრიატიკის – სივრცის მომცველი გეოპოლიტიკური სისტემა. სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოები კი ამ სისტემის სამხრეთ-აღმოსავლეთ, ამავე დროს ყველაზე მოწყვლად ნაწილს წარმოადგენდნენ.

[4] აღნიშნულთან დაკავშირებით, ბრიტანელი ისტორიკოსი შარლოტ ალსტონი აღნიშნავს, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ლიეტუვას დელეგაციას უწევდა გამკლავება როგორც თეთრი რუსეთის პოლიტიკური წარმომადგენლობის, ისე პოლონეთის დელეგაციის ტერიტორიულ პრეტენზიებთან. ამასთან, პოლონურ დელეგაციაშიც ერთიანი პოზიცია არ არსებობდა: ფედერალისტები ლიეტუვასთან მჭიდრო პოლიტიკური კავშირის დამყარებას ემხრობოდნენ, ხოლო კონფერენციაზე წამყვან როლს, ძირითადად, ეროვნულ-დემოკრატიული (ანექსიონისტური) ბანაკი ასრულებდა, რომელიც ვილნიუსს ცენტრალიზებული პოლონეთის სახელმწიფოს შემადგენელ ნაწილად განიხილავდა. თავის მხრივ, ლიეტუვა ვილნიუსს საკუთარ ისტორიულ დედაქალაქად მიიჩნევდა (ალსტონი, 2018, გვ. 106).

საქართველოსთვის აღნიშნული კონცეფციის მნიშვნელობა იმაში მდგომარეობდა, რომ სამხრეთ კავკასია, განსაკუთრებით საქართველო, პილსუდსკის გეოპოლიტიკურ ხედვაში სამხრეთ-აღმოსავლეთის სტრატეგიულ მიმართულებას წარმოადგენდა, თუმცა მისი გეოგრაფიული იზოლაციისა და საერთაშორისო გარემოს გამო ალიანსის ყველაზე დაუცველ ნაწილად მიიჩნეოდა. სწორედ ამ კონტექსტში უნდა შეფასდეს 1918-1921 წლებში პოლონეთ-საქართველოს სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის დამყარების მცდელობაც.

განმათავისუფლებელი მოძრაობების მხარდაჭერა პილსუდსკის აღმოსავლური პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენდა და Intermarium-ის სტრატეგიასთან მჭიდროდ იყო დაკავშირებული. მისი ფორმირების წინაპირობად მიჩნეულია პილსუდსკის ვიზიტი ტოკიოში 1904 წლის თებერვალში, როდესაც მან იაპონიის ხელისუფლებას რუსეთის იმპერიაში მცხოვრები არარუსი ხალხების ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობების მხარდაჭერა შესთავაზა (Piłsudski, 1971, p. 159). ამავე ვიზიტის დროს იაპონიის ხელისუფლებისთვის წარდგენილ მემორანდუმში პილსუდსკიმ რუსეთის იმპერიის მიერ ჩაგრულ ერებს შორის ქართველებიც დაასახელა, რაც ადასტურებს იმ ფაქტს, რომ საქართველო მის პოლიტიკურ ხედვაში უკვე ამ ეტაპზე მნიშვნელოვან ადგილს იკავებდა (Jędrzejewicz, 1982, p. 36). აღნიშნული მიდგომა 1918 წლის შემდეგაც შენარჩუნდა. ახლად დამოუკიდებლობამოპოვებული სახელმწიფოებისა და რუსეთის დაქვემდებარებაში დარჩენილი ერების მხარდაჭერა პილსუდსკის სტრატეგიული ხედვის ურთიერთდაკავშირებულ ელემენტებს წარმოადგენდა და, საბოლოოდ, რუსეთის ექსპანსიონისტური პოლიტიკის შეკავებას ისახავდა მიზნად.

კვლევაში გაზიარებულია ის ინტერპრეტაცია, რომლის მიხედვითაც, 1918-1921 წლებში Prometheism, როგორც იდეა, Intermarium-ის გეოპოლიტიკური კონცეფციის პარალელურად ვითარდებოდა, ხოლო მისი ინსტიტუციური ჩამოყალიბება შემდგომ პერიოდს უკავშირდება. ამგვარად, Prometheism-ის იდეა ამიერკავკასიის სახელმწიფოებს (საქართველოს, სომხეთსა და აზერბაიჯანს) პილსუდსკის გეოპოლიტიკურ ჩანაფიქრში განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებდა. სწორედ ამ ურთიერთდაკავშირებული სტრატეგიის ფარგლებში განხორციელდა პოლონეთის დიპლომატიური მისიის გაგზავნა კავკასიაში და განიხილებოდა საქართველოსთან სამხედრო ალიანსის შექმნის შესაძლებლობა.[5]

როგორც უკვე ითქვა, Intermarium-ის განხორციელებას საგრძნობლად აფერხებდა რეგიონული წინააღმდეგობები; მაგრამ არანაკლებ მნიშვნელოვანი იყო საერთაშორისო გარემოც. ვერსალის სამშვიდობო წესრიგით ჩამოყალიბებული ძალთა ბალანსი და დიდი სახელმწიფოების პრიორიტეტები Intermarium-ის პროექტის პრაქტიკულ განხორციელებას ხელს არ უწყობდა. მართალია, დასავლური სახელმწიფოები (რომლებიც თავთავისი ინტერესებიდან გამოდიოდნენ) პოლონეთს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკის უმნიშვნელოვანეს ფორპოსტად განიხილავდნენ, მაგრამ არ იზიარებდნენ რეგიონში ფართო ფედერაციული თუ კონფედერაციული ბლოკის შექმნის იდეას, რაც აღმოსავლეთ ევროპაში ძალთა ბალანსის შენარჩუნებას მნიშვნელოვნად გაართულებდა. უფრო მეტიც, „საქართველოს საკითხის გადაწყვეტა, მოკავშირეთა თვალთახედვით, რუსეთის მომავლის განსაზღვრას უკავშირდებოდა. საფრანგეთს ერთიანი და განუყოფელი

[5] ზოგადად, Intermarium-ის გეოგრაფიული საზღვრებისა და Prometheism-ის მასთან მიმართების საკითხი ისტორიოგრაფიაში ერთმნიშვნელოვნად გადაწყვეტილი არ არის და დღემდე ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს. მკვლევრების ნაწილი Prometheism-ს Intermarium-ის შემადგენელ ელემენტად განიხილავს, ნაწილი კი მას დამოუკიდებელ პოლიტიკურ კონცეფციად მიიჩნევს. ამასთანავე, იოზეფ პილსუდსკის გეოპოლიტიკური ხედვა საერთაშორისო ვითარების ცვლილებების შესაბამისად მუდმივად ტრანსფორმირდებოდა, რის გამოც იცვლებოდა Intermarium-ის გეოგრაფიული ჩარჩოებიც. სავარაუდოდ, სწორედ ამ კონცეპტუალური მოდიფიკაციებისა და პროექტის მიზნების ცვალებადობამაც, გარკვეულწილად, შეუწყო ხელი მისი პრაქტიკული განხორციელების წარუმატებლობას.

რუსეთის აღდგენა სურდა. ამას რამდენიმე მიზეზი ჰქონდა: 1. რუსეთს მსოფლიო ომის მსვლელობისას საფრანგეთის ვალები დაუგროვდა, რომელთა გადახდაზე ბოლშევიკები უარს აცხადებდნენ; 2. ფრანგული კაპიტალი გამოიდევნებოდა რუსეთიდან; 3. დასუსტებული რუსეთი, მომავალში, დამარცხებული გერმანიის რევანშისტული გეგმების პოტენციური მოკავშირე იქნებოდა; 4. ბოლშევიზმის ექსპორტის საფრთხე არსებობდა თავად საფრანგეთში" (კობახიძე, 2015, გვ. 13). გამონაკლისი არც დიდი ბრიტანეთი იყო: ისიც უპირატესობას ერთიან და განუყოფელ რუსეთს ანიჭებდა (Baramidze, 2020, p. 9). წარმოდგენილი გარემოებები აჩვენებს, რომ საქართველოს საკითხი დასავლეთისთვის დამოუკიდებელ რეგიონულ პრობლემას კი არ წარმოადგენდა, არამედ ე. წ. „რუსული საკითხის" ნაწილად განიხილებოდა. მიუხედავად ამისა, დასავლეთის ფრთხილი პოლიტიკა არ გამორიცხავდა პოლონეთის დამოუკიდებელ რეგიონულ ინიციატივებს, თუმცა მნიშვნელოვნად ზღუდავდა მათ წარმატების შესაძლებლობას. უფრო მეტიც, ამ საერთაშორისო გარემოში პოლონეთსა და საქართველოს შორის თანამშრომლობის პერსპექტივა სულ უფრო მეტად დამოკიდებული ხდებოდა არა მხოლოდ ორმხრივ ინტერესებზე, არამედ პოლონეთ-საბჭოთა რუსეთის ომის მიმდინარეობასა და ამ უკანასკნელის პოლიტიკაზე სამხრეთ კავკასიაში.

გარდა ამისა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ახლადშექმნილ სახელმწიფოებს – ლიეტუვას, ჩეხოსლოვაკიას, ლატვიას – პოლონეთთან საკუთარი ტერიტორიული დავები ჰქონდათ, რაც ნებაყოფლობითი ფედერაციის/კონფედერაციის შექმნის იდეას რთულად განსახორციელებელს ხდიდა. ამ კონტექსტში, საქართველოსთან ალიანსი – გეოგრაფიული დისტანციისა და სამხედრო-ლოჯისტიკური სირთულეების გამო – მთელი ამ ამბიციური გეოპოლიტიკური კონსტრუქციის ყველაზე სუსტ ნაწილს წარმოადგენდა.

1918 წლის 26 მაისს გამოცხადებული საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკა სამხრეთ კავკასიაში შედარებით უფრო სტაბილურ სახელმწიფოებრივ მოდელად მიიჩნეოდა. სოციალ-დემოკრატთა მენშევიკური ფრთის და მისი ლიდერის ნოე ჟორდანიას (1868-1953) ხელმძღვანელობით, საქართველომ ჩამოაყალიბა საპარლამენტო რესპუბლიკა, რომელიც ევროპული სოციალ-დემოკრატიული ტრადიციის ფარგლებში ფუნქციონირებდა და აქტიურად ისწრაფოდა დასავლურ სამყაროსთან ინტეგრაციისკენ.

საქართველო უნიკალური გეოგრაფიული მდებარეობით გამოირჩეოდა. ბათუმის პორტის საშუალებით იგი შავი ზღვის აუზის ერთ-ერთ მნიშვნელოვან სატრანზიტო კვანძს წარმოადგენდა, რომელიც ევროპასა და აზიას შორის სხვადასხვა სახის ტვირთების (ენერგორესურსები, წიაღისეული, სამხედრო დანიშნულების ტვირთები, სამრეწველო პროდუქცია და სხვ.) გადაადგილებას უზრუნველყოფდა.[6] ამასთანავე, საქართველო შეიძლებოდა ქცეულიყო შავი ზღვის მიმართულებით სამხედრო-ლოჯისტიკური კავშირის ერთ-ერთ ძირითად პუნქტად. სწორედ ამ გეოსტრატეგიულმა მნიშვნელობამ განაპირობა საქართველოს მიმართ პოლონეთის განსაკუთრებული დაინტერესებაც. მიუხედავად ამისა, ჩრდილოეთიდან – ბოლშევიკური რუსეთის, ხოლო სამხრეთიდან – ოსმალეთის მხრიდან მომდინარე სამხედრო საფრთხეები, აზერბაიჯანსა და სომხეთთან არსებული სასაზღვრო-ტერიტორიული დავების პარალელურად, ქმნიდა რთულ გარემოს, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას საერთაშორისო გარანტიებისა და ალტერნატიული სამხედრო-პოლიტიკური ალიან-

[6] ამ თვალსაზრისით, ბათუმი ევროპული სახელმწიფოების ყურადღების ცენტრში ჯერ კიდევ XIX საუკუნის 70-იან წლებში მოექცა; აღნიშნულის შედეგი იყო 1877-1878 წლების რუსეთ-ოსმალეთის ომის შედეგად, საკუთრივ რუსეთის და გასაკვირად, ბათუმის გადაცემა ჩრდილოეთ იმპერიაზე (ჯიბაშვილი, დიასამიძე, 2013, გვ. 241-246). 1919 წელს, საფრანგეთში მიმდინარე კონფერენციაზე მყოფი ქართული დელეგაციაც საქართველოს ეკონომიკურ რესურსებზე, ფოთისა და ბათუმის ნავსადგურებზე საუბრობდა. ევროპის, ცენტრალურ და წინა აზიას შორის ეკონომიკური და კულტურული ურთიერთობების განვითარებაში ამიერკავკასიის და, კონკრეტულად, საქართველოს დიდ როლზე საკუთარ მთავრობას ცნობას აწვდიდა საფრანგეთის სამხედრო მისიის უფროსი საქართველოში პოლკოვნიკი შარდინიც (საქართველოს ეროვნული არქივი (სეა), საისტორიო ცენტრალური არქივი (სცა), ფ. 1864, ან. 2, საქ. 376, ფ. 1-8; კირთაძე, 1998, გვ. 12).

სების ძიებისკენ უბიძგებდა. ამასთანავე, აღნიშნული რეგიონული წინააღმდეგობები გავლენას ახდენდა არა მხოლოდ საქართველოს საერთაშორისო მდგომარეობაზე, არამედ მთლიანად სამხრეთ კავკასიის კონსოლიდაციის პერსპექტივაზეც. ეს კონფლიქტები არა მხოლოდ საქართველოს პოზიციებს ასუსტებდა, არამედ სამხრეთ კავკასიის სახელმწიფოებს შორის ერთიანი ანტისაბჭოთა პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის ჩამოყალიბებასაც მნიშვნელოვნად აფერხებდა, რაც Intermarium-ის სამხრეთ-აღმოსავლეთი მიმართულების რეალიზებას დამატებით ართულებდა.

კვლევაში გამოყენებული ლიტერატურის და საარქივო დოკუმენტების ურთიერთშედარებითი ანალიზი აჩვენებს, რომ საქართველოს მიმართ პოლონეთის ინტერესი სამი ძირითადი ფაქტორით იყო განპირობებული. პირველი იყო გეოსტრატეგიული ფაქტორი: საქართველო აკონტროლებდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროს, რაც მას Intermarium-ის გეოპოლიტიკური არქიტექტურის სამხრეთ-აღმოსავლეთ საყრდენად აქცევდა. მეორე მიმართულება „პრომეთეიზმის“ კონცეფციას უკავშირდებოდა, სადაც საქართველო, აზერბაიჯანთან და სომხეთთან ერთად, ბოლშევიკური ექსპანსიის წინააღმდეგ მიმართულ სამხრეთის მყარ ფლანგს ქმნიდა; ამ სახელმწიფოთა სუვერენიტეტის შენარჩუნება პირდაპირ ასუსტებდა საბჭოთა რუსეთის პოზიციებს კავკასიაში. მესამე ფაქტორს იდეოლოგიური თანხვედრა წარმოადგენდა: საქართველოს მენშევიკური მთავრობა, თავისი მკაფიო ევროპული სოციალ-დემოკრატიული ორიენტაციით, ახლოს იდგა პილსუდსკის პოლიტიკურ მსოფლმხედველობასთან – ორივე მხარე სოციალისტური ტრადიციიდან იყო აღმოცენებული და ორივეს მტკიცე ანტიბოლშევიკური პოზიცია აერთიანებდა.

აღნიშნულმა გარემოებებმა ხელი შეუწყო იმას, რომ 1918 წლის აპრილში კავკასიაში პოლონეთის დიპლომატიური წარმომადგენლობის დაფუძნების გეგმაში საქართველოს განსაკუთრებული ადგილი დაეთმო. შესაბამისად, ორ სახელმწიფოს შორის ურთიერთობის დამყარების ინიციატორად პოლონეთი გამოვიდა (Włodarczyk, 2016, p. 464).

1918 წლის აგვისტოში, პოლონეთის რეგენტთა საბჭომ თბილისში თავის რწმუნებულად დანიშნა ადგილზე მყოფი პოლონელი პოლიტიკოსი ვაცლავ ოსტროვსკი, რომელმაც იმავე წლის 1 ოქტომბერს სამხრეთ კავკასიაში პოლონეთის მისიის ხელმძღვანელის სტატუსიც შეითავსა (ჯანელიძე, 2018, გვ. 273; Włodarczyk, 2016, p. 465). აღნიშნული გადაწყვეტილება გვაძლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ საქართველო პოლონეთისათვის უკვე 1918 წლიდან განიხილებოდა არა როგორც რიგითი დიპლომატიური მიმართულება, არამედ სამხრეთ კავკასიაში მისი პოლიტიკის ერთ-ერთი ძირითადი საყრდენი. ოსტროვსკის სამი ამოცანის შესრულება დაავალა:

1. პირველი მსოფლიო ომის სამხედრო და პოლიტიკური კატაკლიზმების შედეგად რეგიონში დარჩენილი პოლონური მოსახლეობის რეპატრიაციის ორგანიზება;

2. საქართველოსა და აზერბაიჯანის მთავრობებთან მჭიდრო პოლიტიკური კონტაქტების დამყარება და მომავალი სამხედრო-პოლიტიკური მოკავშირეობისთვის (Intermarium) ნიადაგის მომზადება;

3. თბილისში პოლონური ბანკის გახსნა და ორმხრივი სამრეწველო-სავაჭრო კავშირების სტიმულირება (ჯანელიძე, 2018, გვ. 274).

პოლონეთის გეგმებთან მიმართებით ქართული მხარის სტრატეგიული გათვლები ისტორიოგრაფიაში ნაკლებადაა შესწავლილი, თუმცა, თბილისის საგარეო-პოლიტიკური მოტივაციები არანაკლებ საინტერესო სურათს ქმნის. ვარშავასთან ალიანსი საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკისთვის კონკრეტული მიზეზით იყო მიმზიდველი. ევროპის წამყვანი სახელმწიფოები – საფრანგეთი და დიდი ბრიტანეთი – საქართველოს de jure აღიარებას აშკარად აყოვნებდნენ.[7]

[7] საფრანგეთის და დიდი ბრიტანეთის მხრიდან საქართველოს de jure აღიარებისგან თავშეკავება ბევრი მიზეზით იყო განპირობებული. საქართველოს „გერმანული ორიენტაცია“ ერთ-ერთი იყო და მის დროულ შეცვლას

მიუხედავად იმისა, რომ პარიზის სამშვიდობო კონფერენციაზე ქართული დელეგაცია ერთ-ერთ ყველაზე აქტიურ სუბიექტს წარმოადგენდა, მიღწეული შედეგი სასურველზე ნაკლები აღმოჩნდა. ამ კონტექსტში, პოლონეთთან პარტნიორობა დასავლეთ ევროპასთან დაკავშირების და რეგიონული კოლექტიური უსაფრთხოების სისტემის ნაწილად გადაქცევის ერთგვარ პერსპექტივას სახავდა, იმის გათვალისწინებით, რომ პოლონეთი არ განიცდიდა ყურადღების ნაკლებობას დიდი სახელმწიფოების მხრიდან. გარდა ამისა, ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ქართულ სახელმწიფოს მწვავე სამხედრო-ტექნიკური რესურსების დეფიციტი ჰქონდა, ვარშავასთან სამხედრო ალიანსი კი ამ პრობლემის თუნდაც ნაწილობრივ გადაჭრის რეალურ შანსს იძლეოდა.

გასათვალისწინებელია იდეოლოგიური მხარეც, კერძოდ – ქართული მენშევიკური მთავრობის მჭიდრო კავშირი ევროპულ სოციალ-დემოკრატიასთან. ამ მხრივ აღსანიშნავია 1920 წლის სექტემბერში მეორე ინტერნაციონალის ლიდერების ვიზიტი საქართველოში. თბილისში გამართულ შეხვედრებზე განხილვის მთავარ თემებს რესპუბლიკის საერთაშორისო ლეგიტიმაცია და სოციალისტური ინტერნაციონალის მხარდაჭერა წარმოადგენდა. ვიზიტის ფარგლებში დელეგაციის ბრიტანელმა წევრმა, რამსეი მაკდონალდმა (1866-1937) ხაზგასმით აღნიშნა: „დღეს ჩვენ ხელი ჩამოვართვით თავისუფალ და არა დამონებულ ერს. ჩვენ აქ არდადეგების გასატარებლად არ ჩამოვსულვართ. ჩვენი მიზანია: თქვენი დახმარება და თქვენი გამოცდილების გაზიარება... საქართველო სოციალისტური რესპუბლიკაა, რომელიც ევროპული სოციალ-დემოკრატიის ერთგული დარჩა“ (ბერიშვილი, 2021, გვ. 27-30). შესაბამისად, საქართველოს საგარეო პოლიტიკაში პოლონეთთან ალიანსი განიხილებოდა, როგორც ამგვარი საერთაშორისო კონტაქტების გაფართოებისა და ევროპულ პოლიტიკურ სივრცეში ქვეყნის პოზიციების განმტკიცების დამატებითი ბერკეტი.

Intermarium-ის გეოპოლიტიკური ჯაჭვის ანალიზი ცხადყოფს, რომ საქართველო ამ სისტემის ყველაზე შორეულ, თუმცა, ამავდროულად, სტრატეგიულად მნიშვნელოვან რგოლს წარმოადგენდა. იმ პირობებში, როდესაც ბალტიისპირეთის სახელმწიფოები უშუალოდ ესაზღვრებოდნენ ვარშავას, ხოლო უკრაინა ფრონტის ხაზზე პოლონეთთან ერთობლივ სამხედრო ოპერაციებს ახორციელებდა, სამხრეთ კავკასიაში მოვლენები ბევრად უფრო დრამატულად განვითარდა.

ამიერკავკასიის სახელმწიფოთა უუნარობამ, გადაეჭრათ პირადი კონფლიქტები და საგარეო აგრესიას გაერთიანებული ძალებით დაპირისპირებოდნენ, ისინი რუსეთისათვის იოლ ნადავლად აქცია. 1920 წლის გაზაფხულზე საქართველოს ყველა მცდელობა, შეთანხმებულიყო სომხეთთან და აზერბაიჯანთან, მარცხით დასრულდა, ბაქოში ბოლშევიკთა მოღვაწეობის მასშტაბები კი სწრაფად გაიზარდა (Kazemzadeh, 1951, p. 276) 1920 წლის გაზაფხულზე აზერბაიჯანის დემოკრატიული რესპუბლიკის ბოლშევიკურმა ოკუპაციამ (ბოლშევიკების მიერ სომხეთის დაკავება უფრო მოგვიანებით, იმავე წლის ნოემბერში მოხდა) მანამდე შეცვალა ძალთა ბალანსი, ვიდრე პოლონური დიპლომატია რეგიონში საკუთარი გეგმების სრულფასოვან რეალიზებას მოასწრებდა.

სამხრეთ კავკასიაში შექმნილმა ახალმა გეოპოლიტიკურმა რეალობამ ქართული სახელმწიფოს საგარეო პოზიციები კიდევ უფრო დაასუსტა. თბილისი რეგიონში უკანასკნელ სუვერენულ სუბიექ-

---

გადამწყვეტი მნიშვნელობა შეიძლება ჰქონოდა არსებულ ვითარებაში. სწორედ ამ მნიშვნელობას გულისხმობდა ქართველი დიპლომატი ზურაბ ავალიშვილი, როდესაც წერდა: „შესაძლებლობისდაგვარად სწრაფ გადაადგილებაზე ამჯერად გამარჯვებული სახელმწიფოების მიმართულებით“. მიზანი ინგლისის და საფრანგეთის მთავრობებთან „კონტაქტების დამყარება“ იყო (ავალიშვილი, 1990, გვ. 183).

საინტერესოა ზ. ავალიშვილის შენიშვნა იმდროისათვის ბერლინში დიპლომატიური მისიით მყოფ საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ა. ჩხენკელთან დაკავშირებითაც. მინისტრის მისიის მიზანი ახლად დამოუკიდებლობაგამოცხადებული საქართველოს საერთაშორისო აღიარებაზე ზრუნვა იყო. ავალიშვილი წერს: „რაც შეეხება ა. ჩხენკელს, იგი ახლა – მხოლოდ ახლა დარწმუნდა, რომ მისი ბერლინში ყოფნა... ცოტა არ იყოს გაჭიანურდა. გერმანიის სრული მარცხი და რევოლუცია იყო საჭირო, რომ მიმხვდარიყო და მხოლოდ ანაზდად გასროლილმა რევოლუციურმა ტყვიამ, რომელმაც ქუჩიდან მისი ოთახის ფანჯარა ჩაამტვრია, აიძულა იგი ბოლოს და ბოლოს ოთახი გაეთავისუფლებინა...“ (ავალიშვილი, 1990, გვ. 184).

ტად იქცა, რამაც, ერთი მხრივ, გაზარდა მისი სტრატეგიული წონა ევროპელთა (მათ შორის პოლონელთა) თვალში, ხოლო, მეორე მხრივ, დააჩქარა მოსკოვის მოქმედება ანექსიასთან დაკავშირებით.

1920 წლის დასაწყისისთვის ორმხრივი დიპლომატიური დაახლოების წინაპირობები უკვე სრულად იყო მომწიფებული, რასაც, დიდწილად, პოლონეთ-საბჭოთა რუსეთის ომის (1919-1921) გადამწყვეტ ფაზაში შესვლაც განაპირობებდა. წითელი არმიის აქტიური შეტევის ფონზე, ვარშავისთვის სამხრეთ კავკასიაში მყარი მოკავშირის შეძენა უკვე არა მხოლოდ Intermarium-ის პროექტის ფარგლებში არსებულ იდეოლოგიურ ჩანაფიქრს, არამედ გადაუდებელ სამხედრო-სტრატეგიულ საჭიროებას წარმოადგენდა – ბოლშევიკების მიერ ყურადღების თუნდაც ნაწილობრივი გადატანა ამიერკავკასიის მიმართულებით, პოლონეთის ფრონტზე ზეწოლას ასე თუ ისე მაინც შეამსუბუქებდა. თავის მხრივ, 1920 წლის აპრილის ბოლოს აზერბაიჯანის გასაბჭოებამ და ბოლშევიკური საფრთხის ზრდამ საქართველოსაც უბიძგა პრევენციული ზომების მიღებისაკენ. ამრიგად, ორივე სახელმწიფოს ინტერესები ერთმანეთს დაემთხვა. ინიციატივა პოლონური მხრიდან წამოვიდა: 1920 წელს პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სტანისლავ პატეკმა თბილისს ოფიციალური წინადადებით მიმართა დიპლომატიური მისიების გაცვლისა და სრულფასოვანი პოლიტიკური ურთიერთობების დამყარების თაობაზე. რაც, დიდი ალბათობით, Intermarium-ის სტრატეგიის ფარგლებში გააზრებული გეგმის ნაწილიც შეიძლება ყოფილიყო.

ქართული მხარის პასუხი მყისიერი აღმოჩნდა. ნოე ჟორდანიას მთავრობა, რომელიც ამ პერიოდში რთულ მოლაპარაკებებს მართავდა ოსმალეთის იმპერიასთან ტერიტორიულ საკითხებზე, იგერიებდა ბოლშევიკურ ზეწოლას და დასავლეთ ევროპაში de jure აღიარების კამპანიას აწარმოებდა, პოლონეთის ინიციატივას საგარეო იზოლაციიდან თავის დაღწევის შესაძლებელ ვარიანტად განიხილავდა. ვარშავის სტრატეგიული ინტერესის პრაქტიკულ გამოხატულებად იქცა 1920 წლის 30 მარტს, სამსახურეობრივი მიზნით, ტიტუს ფილიპოვიჩის დიპლომატიური მისია თბილისში (Materski, 2019, p. 141).[8] ტ. ფილიპოვიჩი პილსუდსკის უახლოეს თანამებრძოლს,[9] პოლონეთ-ლიეტუვის თანამეგობრობის ისტორიული ტრადიციის მიმდევარსა და „პრომეთეიზმის“ პროექტის ერთ-ერთ აქტიურ მოღვაწეს წარმოადგენდა. როგორც პოლონეთის სპეციალური პოლიტიკური მისიის ხელმძღვანელი, ტიტუს ფილიპოვიჩი საქართველოში მჭიდრო პოლიტიკური თანამშრომლობის დამყარებისა და სამხედრო ალიანსის პროექტის განხილვის მიზნით იყო მივლენილი (Materski, 2019, pp. 141-156). ამდენად, პოლონეთის ხელისუფლებამ საქართველოს დედაქალაქში რიგითი დიპლომატი კი არა, პილსუდსკის უახლოესი პოლიტიკური თანამოაზრე გაგზავნა, რაც მისიის განსაკუთრებულ მნიშვნელობაზე მიუთითებს.[10]

---

[8] 1920 წლის 30 მარტს თბილისში ტ. ფილიპოვიჩის მისიის ჩამოსვლა დასტურდება პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური ბიულეტენით (№1, 1920 წლის 30 მარტი). მართალია, დოკუმენტში არსებული ინფორმაცია ძალიან მწირია – „სამხრეთ კავკასიის მიმართულებით სამსახურეობრივი გადაადგილების შესახებ. ტფილისში ჩავიდა პოლონეთის მისია ტიტუს ფილიპოვიჩის ხელმძღვანელობით“ – მაგრამ დოკუმენტის ისტორიული მნიშვნელობა უდაოა (Materski, 2019, p. 141).

პოლონელი მკვლევარი მ. ვლოდარჩიკი აღნიშნავს, რომ პოლონური სამხედრო მისიის გამოგზავნა სამხრეთ კავკასიაში თავდაპირველად 1919 წლის ოქტომბრის ბოლოს იყო დაგეგმილი, თუმცა საბოლოოდ იგი საქართველოში 1920 წლის მარტში ჩამოვიდა (Włodarczyk, 2016, p. 466).

[9] ი. მორაჩევსკის მთავრობაში (1918 წლის 17 ნოემბერი-1919 წლის 16 იანვარი) მას საგარეო საქმეთა მინიტრის მოადგილის თანამდებობა ეკავა (Włodarczyk, 2016, p. 466).

[10] 1904 წლის დასაწყისში ტ. ფილიპოვიჩის მონაწილეობა პილსუდსკის ტოკიოს მისიაში საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ იგი პილსუდსკის განსაკუთრებული ნდობით სარგებლობდა. ფილიპოვიჩის ჩართვა იმ დროის ერთ-ერთ მნიშვნელოვან და კონფიდენციალურ საერთაშორისო მისიაში მიანიშნებს, რომ პილსუდსკი განსაკუთრებულ დიპლომატიურ დავალებებს სწორედ მას ანდობდა. ჩვენი შეფასებით, ამ გარემოების კიდევ ერთი დასტურია 1920 წელს ფილიპოვიჩის სამხრეთ კავკასიაში, მათ შორის თბილისში, გამოგზავნა, სადაც მას

საგულისხმოა, რომ ტ. ფილიპოვიჩის მისიის გამოგზავნამდე, 1920 წლის 10 იანვარს, მოკავშირეთა უმაღლესმა საბჭომ საქართველოსა და აზერბაიჯანის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის de facto აღიარების გადაწყვეტილება მიიღო. ამ გადაწყვეტილების განსაკუთრებულ მნიშვნელობას ცხადყოფს 1920 წლის 14 იანვარს საქართველოს დამფუძნებელი კრების რიგგარეშე საზეიმო სხდომის მოწვევა, რომელიც საქართველოს de facto აღიარების აღსანიშნავად გაიმართა (საქართველოს დამფუძნებელი კრება, 2019, გვ. 7-26). ამ მოვლენამ „პოლონეთის ხელისუფლებას გაუადვილა განესაზღვრა საკუთარი დამოკიდებულება სამხრეთ კავკასიის ამ ორი რესპუბლიკისადმი. პოლონეთის სურვილს – ეთანამშრომლა მათთან, ანტანტის მესვეურთა მხრიდან წინააღმდეგობა არ მოჰყოლია“ (ჯანელიძე, 2018, გვ. 278).[11] თბილისში ჩამოსული მისიის დღის წესრიგი საკმაოდ დატვირთული აღმოჩნდა. ტ. ფილიპოვიჩი ქართულ მხარესთან მოლაპარაკებებს რამდენიმე მიმართულებით აწარმოებდა, კერძოდ: ოფიციალური დიპლომატიური ურთიერთობების დამყარების, სამხედრო ალიანსის ძირითადი პრინციპების შეთანხმებისა და პოლონეთის სამხედრო-ტექნიკური დახმარების პირობების განსაზღვრის მიზნით. ჩვენს ხელთ არსებული სამეცნიერო ლიტერატურის და საარქივო მასალის ანალიზი მიუთითებს, რომ პოლონური მისიის ამოცანები გაცილებით ფართო იყო, ვიდრე ჩვეულებრივი დიპლომატიური ურთიერთობების დამყარება. ქართული უწყებების (საგარეო და თავდაცვის სამინისტროების) ჩართულობა და განწყობა ცხადყოფდა, რომ რესპუბლიკის ხელმძღვანელობა ამ პროცესს განსაკუთრებული პასუხისმგებლობით ეკიდებოდა – ვარშავასთან ალიანსი მათთვის არა ფორმალური პოლიტიკური აქტი, არამედ სახელმწიფოს უსაფრთხოების უზრუნველყოფის რეალური შანსი იყო.

მოლაპარაკებათა შედეგად შემუშავებული სამხედრო ალიანსის იდეა რამდენიმე ძირითად ელემენტს მოიცავდა: 1. პოლონეთი ქართულ სამხედრო ძალებს საბრძოლო ტექნიკითა და ამუნიციით მოამარაგებდა, რაც ქართული ჯარის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გაზრდიდა; 2. ორი სახელმწიფო კოორდინირებულ სამხედრო მოქმედებებს განახორციელებდა, რაც გამოიწვევდა ბოლშევიკური ძალების დაქსაქსვას ორ ფრონტზე; 3. ალიანსი, სავარაუდოდ, Intermarium-ის ფართო სტრუქტურის ნაწილად, ხოლო საქართველო სამხრეთ კავკასიაში პოლონეთის სტრატეგიულ პარტნიორად გადაიქცეოდა.

აღნიშნული პუნქტების შესრულება თეორიულად შესაძლებელი ჩანდა, მაგრამ მთავარ დაბრკოლებას ლოჯისტიკური ფაქტორი წარმოადგენდა: ვარშავასა და თბილისს შორის ასობით კილომეტრზე გადაჭიმული, საბჭოთა რუსეთის მიერ კონტროლირებადი ტერიტორია მდებარეობდა. სამხედრო დახმარების ერთადერთი შესაძლო მარშრუტი შავ ზღვაზე, კერძოდ კი ბათუმის პორტზე გადიოდა, რაც პირდაპირ იყო დამოკიდებული საერთაშორისო საზღვაო მიმოსვლის ტექნიკურ სირთულეებზე, ადგილობრივი სარკინიგზო ინფრასტრუქტურის გამტარუნარიანობაზე და ბრიტანეთის კეთილ ნებაზე. ვფიქრობთ, ბათუმში ბრიტანეთის ყოფნა პოლონეთ-საქართვე-

---

საქართველოსთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის შესაძლებლობების შესწავლა და შესაბამისი მოლაპარაკებების წარმოება დაევალა.

[11] პოლონეთის საგარეო პოლიტიკურ კურსს დიდად განსაზღვრავდა ანტანტის განწყობა. 1920 წლის 24 მარტით დათარიღებულ პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სტანისლავ პატეკის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრ ევგენი გეგეჭკორის სახელზე გაგზავნილ ნოტაშიც აღნიშნულზეა საუბარი: „ბ-ნო მინისტრო! პატივი მაქვს გაუწყოთ, რომ პოლონეთის მთავრობა მზად არის ცნოს საქართველოს მთავრობა, როგორც დამოუკიდებელი ორგანიზაცია „დეფაქტო“ იმ დრომდე, სანამ საზავო კონფერენცია არ იცნობს ხალხთა სურვილთან შეთანხმებულ „სტატუსს“ საქართველოს მიმართ“. ამავე ნოტაში საუბარია ტ. ფილიპოვიჩის მოსალოდნელ მისიაზეც, რომლის კეთილმეგობრულ მიღებასაც ითხოვს პატეკი (პოლონეთი და საქართველო, 1920, გვ. 2). პოლონეთისათვის ბევრი მნიშვნელოვანი პრობლემის გადაწყვეტა რომ მოკავშირეთა ნებაზე იყო დამოკიდებული მაშინაც გამოჩნდა, როდესაც 1920 წლის დეკემბერში, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ერთა ლიგაში მიღების საკითხზე ხმის მიცემისას, პოლონეთის წარმომადგენელმა იგნაცი იან პადერევსკიმ თავი შეიკავა. პადერევსკის „თავშეკავება“ კი პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა საპიეჰამ სწორედ იმით ახსნა, რომ პადერევსკის არ ჰქონდა უფლება ემოქმედა ინგლის-საფრანგეთის მოსაზრების საწინააღმდეგოდ.

ლოს დაახლოებისთვის ერთდროულად იყო ხელმშემწყობი და შემზღუდველი ფაქტორი. მართალია, იგი ქმნიდა უსაფრთხოების შედარებით სტაბილურ გარემოს, თუმცა, მაგრამ რეგიონის სტრატეგიულ საკითხებზე ბრიტანეთის გავლენა და პირადი ინტერესები ზღუდავდა პოლონეთ-საქართველოს დამოუკიდებელი სამხედრო და პოლიტიკური ალიანსის ჩამოყალიბების შესაძლებლობას.

პოლონეთ-საქართველოს შორის არსებული პოზიტიური ატმოსფეროსა და ინტერესთა თანხვედრის მიუხედავად, ორივე ქვეყნის ხელისუფლება აცნობიერებდა საბჭოთა რუსეთთან მიმართებით მაქსიმალური სიფრთხილის გამოჩენის აუცილებლობას. მიზეზთა გამო, ბოლშევიკურ რუსეთს არ ჰქონდა კავკასიის რეგიონთან დაკავშირებით ყურადღების მოდუნების უფლება და ეს კარგად ჰქონდათ გათავისებული მის ისტორიულ მეზობლებს (ჯანელიძე, 2018, გვ. 283). ანალოგიურ კონსპირაციულ მიდგომებზე მიუთითებს 1920 წლის 14 ოქტომბრით დათარიღებული წერილიც, რომელიც, საქართველოს მთავრობის თანხმობითა და საფრანგეთის მისიის ხელშეწყობით, ვარშავაში მივლინებულმა ლეო კერესილიძემ გამოგზავნა. პოლონეთის ფრონტზე ქართველი ოფიცრების მონაწილეობის შესახებ ინფორმაციის გაჟონვა ქვეყნის „მტრებს საბუთს მისცემს, რომ ჩვენ ქვეყანას რაიმე შარი მოსდოს“ – აღნიშნავდა კერესილიძე (ჯანელიძე, 2018, გვ. 276).[12]

ორივე მხრიდან გამოვლენილი კეთილი ნების მიუხედავად, სრულფასოვანი სამხედრო ალიანსის გაფორმება რამდენიმე მიზეზის გამო შეუძლებელი აღმოჩნდა. პირველ რიგში, გადამწყვეტ როლს თამაშობდა ვარშავასა და თბილისს შორის არსებული ტერიტორიული სიშორე და მათი გამყოფი, ბოლშევიკების მიერ კონტროლირებადი ზონა. გარდა ამისა, 1920 წლის გაზაფხულ-ზაფხულში პოლონეთის რესპუბლიკა თავად იმყოფებოდა რუსეთთან მიმდინარე ომის ყველაზე კრიტიკულ სტადიაში. კერძოდ, აგვისტოში გამართულმა ვარშავის ბრძოლამ ქვეყნის მთელი სამხედრო-სტრატეგიული რესურსების მობილიზაცია მოითხოვა. მეორე მხრივ, მეზობელი სომხეთისა და აზერბაიჯანის ანექსიის შემდეგ, საქართველო საბჭოთა რესპუბლიკების გარემოცვაში მოექცა, რამაც გარე სამხედრო დახმარების მიღების შესაძლებლობა მინიმუმამდე შეამცირა. უფრო მეტიც, 1920 წლის აგვისტოში ვარშავის ბრძოლაში მოპოვებულმა გამარჯვებამ პოლონეთის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტები მნიშვნელოვნად შეცვალა. საბჭოთა რუსეთისგან მომდინარე სამხედრო საფრთხის განეიტრალების შემდეგ, სახელმწიფოს გადარჩენის საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა. მთავარ ამოცანად ომის რაც შეიძლება სწრაფად დასრულება და ქვეყნის საერთაშორისო-სამართლებრივი მდგომარეობის განმტკიცება იქცა. ამავდროულად, გაძლიერდა რომან დმოვსკის (1864-1939) (პილსუდსკის პოლიტიკური ოპონენტის) ეროვნულ-დემოკრატიული ბანაკის გავლენა, რომელიც უპირატესობას ძლიერი ეროვნული სახელმწიფოს მშენებლობას ანიჭებდა და არა აღმოსავლეთ ევროპის ხალხებთან ფართომასშტაბიანი ფედერაციული კავშირების ჩამოყალიბებას.[13] ამ მიმართულებას ემთხვეოდა დიდი სახელმწიფოების, განსაკუთრებით ბრიტანეთისა და საფრანგეთის, ინტერესიც, რომლებიც პოლონეთ-საბჭოთა რუსეთის ომის რაც შეიძლება სწრაფად დასრულებას ემხრობოდნენ. აღნიშნული პოლიტიკური და საერთაშორისო გარემოებების ფონზე, 1921 წლის რიგის ხელშეკრულებამ საბოლოოდ დაასრულა პილსუდსკის ფედერაციული პოლიტიკის პრაქტიკული განხორციელების პერსპექტივა: პოლონეთმა უარი თქვა უკრაინისა და ბელორუსის

[12] სხვა არასასურველ გარემოებებთან ერთად, კონსპირაციის დაუცველობის საფრთხემაც აიძულა ლ. კერესელიძე „განზე“ გამდგარიყო და გალიციასა და ვარშავაში ქართველი ოფიცრობის გაგზავნაზე თანხმობისგან თავი შეეკავებინა (ჯანელიძე, 2018, გვ. 277).

[13] საინტერესოა, რომ 1904 წლის დასაწყისში, როდესაც პილსუდსკი ტ. ფილიპოვიჩთან ერთად ტოკიოში იაპონიის მთავრობის მხარდაჭერის მოსაპოვებლად და რუსეთის წინააღმდეგ პოლონური ლეგიონის შექმნის შესაძლებლობის განსახილველად ჩავიდა, იქ მას რომან დმოვსკი დახვდა. პილსუდსკის მემუარების მთარგმნელისა და რედაქტორის, დარსი რეზერფორდ გილის (Darsie Rutherford Gillie), კომენტარის მიხედვით, დმოვსკი ტოკიოში საკუთარი პოლიტიკური მიზნების განსახორციელებლად იმყოფებოდა და უკვე გადაწყვეტილი ჰქონდა, ხელი შეეშალა პილსუდსკის ინიციატივისთვის (Piłsudski, 1971, p. 159).

დამოუკიდებლობის მხარდაჭერაზე, ხოლო Intermarium-ის კონცეფციის ფარგლებში საქართველოსთან სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შექმნის მცდელობამაც რეალური განვითარების შესაძლებლობა დაკარგა (Światłowski, 2014, p. 151).[14]

აღნიშნული სირთულეებიდან გამომდინარე, ქართულ-პოლონური ალიანსი, მიუხედავად მისი სტრატეგიული მიზანშეწონილობისა, პრაქტიკული რეალიზაციის თვალსაზრისით განუხორციელებელი აღმოჩნდა – ეს ფარული გეოპოლიტიკური წინააღმდეგობა 1921 წლის თებერვალ-მარტში მტკივნეულ რეალობად იქცა.

1920 წლის მიწურულს საბჭოთა რუსეთის სამხედრო-პოლიტიკური სტრატეგია სამხრეთ კავკასიაში საბოლოოდ ჩამოყალიბდა. აზერბაიჯანისა (1920 წლის აპრილი) და სომხეთის (1920 წლის ნოემბერი) გასაბჭოების შემდეგ, საქართველო – რეგიონში ერთადერთი სუვერენული სუბიექტი – მოსკოვისთვის მთავარ სამიზნედ გადაიქცა. საქართველოს ანექსია საბჭოთა რუსეთს რამდენიმე მნიშვნელოვანი ამოცანის გადაწყვეტის საშუალებას აძლევდა: ქვეყნის დამორჩილებით მოსკოვი სრულ კონტროლს აწესებდა შავი ზღვის აღმოსავლეთ სანაპიროზე, ბათუმის პორტსა და ბაქო-ბათუმის სტრატეგიულ ნავთ-სადენზე, რაც, ამავდროულად, საბოლოოდ შლიდა Intermarium-ის სამხრეთ-აღმოსავლეთ ფლანგის კონცეფციას. ამ პროცესს ხელი შეუწყო 1920 წლის ოქტომბერში პოლონეთსა და საბჭოთა რუსეთს შორის საომარი მოქმედებების შეწყვეტამ (რიგის პრელიმინარული ზავის გაფორმებამ)[15], რამაც ბოლშევიკებს სამხედრო რეზერვების გამოთავისუფლებისა და მათი კავკასიის ფრონტზე გადმოსროლის საშუალება მისცა. გარდა ამისა, მოსკოვს სურდა დაესწრო მოვლენების სავარაუდო განვითარებისათვის – დასავლეთის (საფრანგეთი, ინგლისი, აშშ) მხრიდან კეთილი ნების გამოვლენის შემთხვევაში, ქართულ-პოლონური ალიანსის გაფორმება, ახალ გეოპოლიტიკურ რეალობას შექმნიდა, რომელიც საბჭოთა იმპერიას სამხრეთიდან სერიოზული გრძელვადიანი საფრთხის წინაშე დააყენებდა.

შესაბამისად, 1921 წლის თებერვალში განხორციელებული სამხედრო ინტერვენცია არ ყოფილა სპონტანური აქტი – ის წარმოადგენდა წინასწარ დაგეგმილ სტრატეგიულ ნაბიჯს, რომლის ერთ-ერთ (და არა პირველხარისხოვან) მიზანს ანტისაბჭოთა საერთაშორისო კავშირების (ქართულ-პოლონური, ქართულ-დასავლური) პრევენცია და ხელსაყრელ მომენტში საქართველოს საბჭოთა ორბიტაში იძულებითი ინტეგრაცია იყო. 1921 წლის 11 თებერვალს საბჭოთა მე-11 არმიამ დაარღვია საქართველოს საზღვრები. აშკარა აგრესიის ოფიციალური გამართლება – „საქართველოს მშრომელთა აჯანყება“ – საბჭოთა პროპაგანდისტული ისტორიოგრაფიის კლასიკურ შაბლონს წარმოადგენდა, რომელიც რეალური ფაქტების ნაცვლად ფიქტიურ ნარატივს ქმნიდა. სამხედრო თავდასხმა ორგანიზებული იყო ორი ძირითადი მიმართულებიდან: ჩრდილოეთიდან – დარიალის ხეობის გავლით, და სამხრეთ-აღმოსავლეთიდან – გასაბჭოებული სომხეთის ტერიტორიიდან.

---

[14] პოლონელი მკვლევარი ბარტოშ შვიატლოვსკი აღნიშნავს, რომ მკვლევართა და პუბლიცისტთა უმრავლესობის შეფასებით, რიგის ხელშეკრულება პილსუდსკის ფედერაციული კონცეფციის მარცხს ნიშნავდა. მისი განმარტებით, ამ შედეგზე, მნიშვნელოვანწილად, პასუხისმგებელი იყო სამშვიდობო მოლაპარაკებებზე მყოფი პოლონური დელეგაცია. კერძოდ, დელეგაციის წამყვანი წარმომადგენლები – სტანისლავ გრაბსკი და იან დომბსკი, რომლებიც ეროვნულ-დემოკრატიულ ბანაკს ეკუთვნოდნენ, მოლაპარაკებების დროს რომან დმოვსკის აღმოსავლური სტრატეგიით ხელმძღვანელობდნენ. ეს სტრატეგია ტერიტორიული მოთხოვნების შეზღუდვას ითვალისწინებდა, რათა პოლონეთის სახელმწიფოში ეროვნული უმცირესობების რაოდენობა მნიშვნელოვნად არ გაზრდილიყო. შედეგად უარი ითქვა პილსუდსკის ფედერაციული პროექტის ძირითად პრინციპებზე, რომლებიც დამოუკიდებელ აღმოსავლეთევროპულ სახელმწიფოებთან პოლიტიკური და სამხედრო თანამშრომლობის სისტემის შექმნას ეფუძნებოდა. ხოლო, რიგის ხელშეკრულებამ ამ კონცეფციის განხორციელების შესაძლებლობა, ფაქტობრივად, გამორიცხა (Światłowski, 2014, p. 151).

[15] 1920 წლის 12 ოქტომბერს ხელი მოეწერა ზავის წინასწარ (პრელიმინარულ) პირობებს, ხოლო საბოლოოდ რიგის სამშვიდობო ხელშეკრულება გაფორმდა 1921 წლის 18 მარტს (როდესაც საქართველო უკვე ოკუპირებული იყო).

ქართული შეიარაღებული ძალების წინააღმდეგობა საკმაოდ ორგანიზებული, მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა – საბჭოთა რუსეთის რიცხობრივ და მატერიალურ უპირატესობასთან გამკლავება ვერ მოხერხდა. 1921 წლის 25 თებერვალს, ქართველი იუნკრების გმირული თავგანწირვის მიუხედავად, წითელი არმია თბილისში შევიდა. ამავე წლის 18 მარტს, წინააღმდეგობის ბოლო კერების ჩაქრობის შემდეგ, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ ბათუმის პორტიდან დატოვა ქვეყნის ტერიტორია და ემიგრაციაში წავიდა (ჯერ სტამბოლში, ხოლო მოგვიანებით – პარიზში), სადაც ათწლეულების განმავლობაში აგრძელებდა დევნილობაში მყოფი ლეგიტიმური ხელისუფლების ფუნქციების შესრულებას.

ამ დრამატული პროცესების სიმბოლურ წინაპირობად იქცა პოლონეთის მისიის ხელმძღვანელის, ტიტუს ფილიპოვიჩის ბედიც, რომელიც ჯერ კიდევ 1920 წლის აპრილის ბოლოს, ბაქოში დააპატიმრეს ბოლშევიკებმა.[16] ტ. ფილიპოვიჩი, რომელიც საქართველოში ოფიციალური დიპლომატიური მისიის ასამუშავებლად ჩამოვიდა, ახლად გასაბჭოებული აზერბაიჯანის ერთ-ერთი პირველი მსხვერპლი გახდა. მისი მისიის ფაქტობრივი ბლოკირება და, მოგვიანებით, საქართველოს დაცემა ნათლად აჩვენებდა, რომ Intermarium-ის გეოპოლიტიკურ იდეას სამხრეთ კავკასიური კომპონენტი გამოეთიშა.[17]

რაც შეეხება ტ. ფილიპოვიჩის მისიის შესახებ ცნობების სიმწირეს, სავარაუდოდ, ეს მოლაპარაკებების კონფიდენციალური ხასიათით იყო განპირობებული. სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხების საჯაროდ განხილვა, განსაკუთრებით საბჭოთა რუსეთთან არსებული რთული ურთიერთობებისა და რეგიონში შექმნილი პოლიტიკური ვითარების ფონზე, არ იქნებოდა მართებული და არც იმდროინდელ დიპლომატიურ პრაქტიკას შეესაბამებოდა. აღნიშნულ ვარაუდს ამყარებს ის გარემოებაც, რომ იმდროინდელ ქართულ პრესაში, ტ. ფილიპოვიჩის მოსალოდნელი მისიის შესახებ მხოლოდ ერთი მოკლე ცნობა გამოქვეყნდა (პოლონეთი და საქართველო, 1920, გვ. 2), რომელიც მის საქართველოში მოსალოდნელ ვიზიტს ეხებოდა, ხოლო მოლაპარაკებების მიმდინარეობისა და შინაარსის შესახებ ინფორმაცია არ გავრცელებულა. სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობისა და შესაძლო ალიანსის საკითხი ოფიციალურ დონეზე რომ განიხილებოდა, დასტურდება ტ. ფილიპოვიჩის მისიის შემდეგ შედგენილი დოკუმენტით – „ინსტრუქცია საქართველოს წარმომადგენლისათვის პოლონეთში“, რომელიც საქართველოს ეროვნული არქივის ფონდშია დაცული (სეა, სცა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 404, ფ. 6). შინაარსობრივი ანალიზის საფუძველზე შეიძლება ვივარაუდოთ, რომ იგი 1920 წლის მეორე ნახევარში, საქართველოსა და

---

[16] ტ. ფილიპოვიჩის დაპატიმრების ზუსტი თარიღი უცნობია. კონსტანტინოპოლში პოლონეთის სამხედრო წარმომადგენლის 1920 წლის 9 მაისის №395 რადიოდეპეშაში უკვე არის საუბარი ტ. ფილიპოვიჩის და მისი მისიის კიდევ სამი წევრის „სავარაუდოდ, დაკავების შესახებ“ (Materski, 2019, pp. 142-143). 1920 წლის 22 მაისს ტ. ფილიპოვიჩის მეუღლე ვ. ფილიპოვიჩი სახელმწიფო ინსტიტუტებისგან ოფიციალურად ითხოვს დახმარებას მისი მეუღლის და მისიის სხვა წევრების გასათავისუფლებლად (Materski, 2019, pp. 143-144). იმავე დღეს ეპიდემიებთან ბრძოლის საკითხებში საგანგებო უმაღლესი კომისარი, პროფესორი ემილ გოდლევსკი მისიის წევრების გათავისუფლების საკითხში დახმარებას სთხოვს პოლონეთის წითელი ჯვრის გამგეობას (Materski, 2019, p. 145).

მკლევარი მ. ვლოდარჩიკი აღნიშნავს, რომ აზერბაიჯანის საგარეო საქმეთა მინისტრის ფათალი ხან-ხოისკის მიერ ბაქოში მოლაპარაკებებზე მიწვეული ფილიპოვიჩი და მისიის სხვა წევრები 1920 წლის 24 აპრილს დააპატიმრეს (Włodarczyk, 2016, p. 466). ფილიპოვიჩის დაპატიმრების ქრონოლოგიის დაზუსტება არა მხოლოდ მოვლენათა სწორი რეკონსტრუქციისთვის, არამედ ბოლშევიკური ხელისუფლების გადაწყვეტილების მოტივების გასაანალიზებლადაც მნიშვნელოვანია. საკითხი, თუ რამდენად იყო მისი დაკავება წინასწარ დაგეგმილი და რამდენად ასახავდა იგი ფილიპოვიჩის მისიისადმი განსაკუთრებულ დამოკიდებულებას, ცალკე კვლევის საგანს წარმოადგენს.

[17] თბილისში დარჩენილი პოლონური დიპლომატიური წარმომადგენლობა, ვიქტორ ბიალობჟესკის ხელმძღვანელობით, უცხოური მისიების მასობრივი ევაკუაციის ფონზე, საკონსულოს ფუნქციონირების შენარჩუნებას ცდილობდა, თუმცა, აღნიშნული მცდელობა მხოლოდ სიმბოლურ პოლიტიკურ ჟესტს წარმოადგენდა და რეალურ პროცესებზე გავლენას ვეღარ ახდენდა.

საბჭოთა რუსეთს შორის 1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმების შემდეგ, მაგრამ პოლონეთის მიერ საქართველოს დე იურე აღიარებამდეა შედგენილი. დოკუმენტი ასახავს საქართველოს მთავრობის ოფიციალურ საგარეო-პოლიტიკურ პოზიციას პოლონეთთან ურთიერთობის საკითხებში. მისი შინაარსი ცხადყოფს, რომ ამ ეტაპზე საქართველოს ხელისუფლების ხედვა უკვე სცილდებოდა მხოლოდ დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების მიღწევის ან პოლიტიკური მხარდაჭერის მოპოვების ამოცანას. განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს დოკუმენტის მე-5 პუნქტი, რომელშიც პირდაპირ არის საუბარი პოლონეთთან და სხვა მოსაზღვრე სახელმწიფოებთან კავშირის შექმნის შესაძლებლობაზე წევრ სახელმწიფოთა დამოუკიდებლობის დაცვის მიზნით. ამასთანავე, ინსტრუქცია წარმომადგენელს ავალდებულებს საბჭოთა რუსეთთან ურთიერთობებში დაიცვას ხელშეკრულებით (1920 წლის 7 მაისის სამშვიდობო ხელშეკრულება – ხ. დ.) განსაზღვრული პრინციპები და თავი შეიკავოს ისეთი განცხადებებისა თუ მოქმედებებისგან, რომლებიც აღნიშნული შეთანხმების დარღვევად ან საქართველოს საგარეო-პოლიტიკური კურსის შეცვლად შეიძლებოდა აღქმულიყო. ამდენად, დოკუმენტი ნათლად წარმოაჩენს საქართველოს ხელისუფლების მცდელობას, ერთი მხრივ, არ დაერღვია საბჭოთა რუსეთთან დადებული სამშვიდობო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, ხოლო მეორე მხრივ, განევითარებინა პოლონეთთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობა და შეენარჩუნებინა შესაძლო ალიანსის პერსპექტივა. აღნიშნული დოკუმენტი ერთ-ერთი იმ იშვიათი ოფიციალური წყაროთაგანია, სადაც პოლონეთთან სამხედრო-პოლიტიკური კავშირის შესაძლებლობა ასე მკაფიოდ არის ფორმულირებული. აღნიშნული გარემოება საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ პოლონეთთან შესაძლო სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის საკითხი ტ. ფილიპოვიჩის მისიით არ ამოწურულა და საქართველოს საგარეო-პოლიტიკური ხედვის მნიშვნელოვან მიმართულებად მისი დასრულების შემდეგაც რჩებოდა.

ამ ეტაპიდან პოლონეთ-საქართველოს თანამშრომლობის ბედი უკვე არა მხოლოდ ორმხრივ მოლაპარაკებებზე, არამედ სწრაფად ცვალებად საერთაშორისო გარემოზეც გახდა დამოკიდებული.

მართალია საბჭოთა ინტერვენციამ საბოლოოდ დაუსვა წერტილი ქართულ-პოლონური სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შექმნის შესაძლებლობას, მაგრამ წარუმატებლობის მიზეზები ბევრად ღრმა იყო და თავად Intermarium-ის კონცეფციის სტრუქტურულ სისუსტეში მდგომარეობდა. როგორც ითქვა, გეოგრაფიული თვალსაზრისით, ვარშავასა და თბილისს შორის არსებული სახმელეთო კომუნიკაცია გადიოდა ან საბჭოთა რუსეთის, ან საომარ მოქმედებებში ჩართული უკრაინის ტერიტორიაზე. ერთადერთი ალტერნატიული საზღვაო მარშრუტი კი ანტანტის (კერძოდ, დიდი ბრიტანეთის) პოზიციებზე იყო დამოკიდებული, რაც სამხედრო დახმარების ოპერატიულად მიღებას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდიდა. ვითარებას საერთაშორისო ასპარეზზე კიდევ უფრო ართულებდა ის გარემოება, რომ საფრანგეთმა და ბრიტანეთმა საქართველოს de jure აღიარება 1921 წლის იანვრის ბოლომდე გააჭიანურეს. ეს დაგვიანება ნიშნავდა, რომ ქართული სახელმწიფოს საერთაშორისო-სამართლებრივი ლეგიტიმაცია მუდმივად ჩამორჩებოდა სამხედრო-პოლიტიკური მოვლენების დინამიკას.

1921 წლისთვის Intermarium-ის ფართო კონცეფციის რომლის მნიშვნელოვან ნაწილსაც საქართველო წარმოადგენდა, პრაქტიკული განხორციელების მცდელობა ჩაიშალა: ლიეტუვა პოლონეთთან ღია კონფლიქტში იმყოფებოდა, ჩეხოსლოვაკია ალტერნატიულ კოალიციებს ანიჭებდა უპირატესობას, ხოლო 1921 წლის 18 მარტის რიგის სამშვიდობო ხელშეკრულებამ საბოლოოდ დაასრულა პოლონეთ-საბჭოთა რუსეთის ომი და მასთან ერთად Intermarium-ის პირველი ისტორიული ეტაპი. რიგის ზავით განისაზღვრა პოლონეთის აღმოსავლეთი საზღვრები – უკრაინის და ბელორუსის დასავლეთი ტერიტორიები პოლონეთის შემადგენლობაში მოექცა და აღმოსავლეთი ნაწილები საბჭოთა კონტროლს დაექვემდებარა, ვარშავის კავკასიური სტრატეგიის პერსპექტივა კი

დაიხურა. ამრიგად, ორი კვირით ადრე განხორციელებული საქართველოს ოკუპაცია ახალი გეო-პოლიტიკური მოცემულობის ნაწილად იქცა, რამაც რეგიონი ხანგრძლივი ვადით მოაქცია საბჭოთა ტოტალიტარული რეჟიმის ორბიტაში.[18]

სრულიად საფუძვლიანია მოსაზრება იმის თაობაზეც, რომ „საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის (1918-1921) არსებობის გახანგრძლივებას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პოლონეთ-რუსეთის ომმა, რომელიც რუსების მარცხით დამთავრდა. ... როდესაც პოლონეთის ჯარები ქ. კიევს უახლოვდებოდნენ, რუსებმა, სწორედ, მაშინ მოაწერეს ხელი საქართველოსთან ე. წ. „სამშვიდობო“ ხელშეკრულებას“ (სარალიძე, 2008, გვ. 35). აღნიშნულ დინამიკას კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება ადასტურებს: ჯერ კიდევ 1920 წლის 1 მაისს, აზერბაიჯანის გასაბჭოებისთანავე, საბჭოთა ძალებმა გადმოკვეთეს საქართველოს საზღვარი და თბილისის მიმართულებით შეტევა სცადეს. წითელ ხიდთან საქართველოს სამხედრო სკოლის იუნკერებისა და მოგვიანებით, რეგულარული არმიის ნაწილების მედგარმა წინააღმდეგობამ ბოლშევიკთა ეს პირველი ცდა აღკვეთა. როგორც მკვლევრების ნაწილი ფიქრობს, „აღნიშნულ სამხედრო ოპერაციებს, იმ ეტაპზე, რუსეთისთვის მხოლოდ დაზვერვითი ხასიათი ჰქონდა, რისთვისაც დიდი რაოდენობით ჯარისკაცს არ აგზავნიდ-ნენ. ბოლშევიკები ცდილობდნენ ამოეცნოთ არა მხოლოდ საქართველოს სამხედრო მომზადება, არამედ ევროპის რეაქცია თავიანთ ავანტიურისტულ მოქმედებებზე“ (სარალიძე, 2008, p. 35).[19]

ამგვარი ინტერპრეტაცია, გარკვეულწილად, შეესაბამება თავად საბჭოთა ხელისუფლების ოფიციალურ განმარტებებსაც, რაც წარმოდგენას გვიქმნის იმ მოტივებზე, რომლებიც 1920 წლის მაისში მოსკოვის პოლიტიკას განსაზღვრავდა. რუსეთის საგარეო საქმეთა სახალხო კომისარიატმა საბჭოთა მთავრობის მიერ საქართველოს აღიარება ოთხი ძირითადი მიზეზით ახსნა: 1. შავ ზღვაზე ბლოკადისგან თავისუფალი გასასვლელის უზრუნველყოფის აუცილებლობით, რადგან იმ დროს უცხოური გემებისთვის ღია ერთადერთი ნავსადგური ბათუმი იყო; 2. საქართველოში მოქმედი ბოლშევიკების დაცვის საჭიროებით; 3. დასავლეთ ევროპის მუშებისთვის საბჭოთა საგარეო პოლიტიკის თანმიმდევრულობის თვალსაჩინო დემონსტრირებით; და 4. იმ მოსაზრებით, რომ

---

[18] ყურადღებას იქცევს საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული კიდევ ერთი დოკუმენტი – მე-11 არმიის სარდლის, ანატოლი ჰეკერის საიდუმლო მოხსენება არმიის რევოლუციური სამხედრო საბჭოს თავმჯდომარის, სერგო ორჯონიკიძის სახელზე. მოხსენება თბილისზე თავდასხმისთვის მზადებასა და თურქეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას ეხება. დოკუმენტი 1920 წლის 18 დეკემბრით არის დათარიღებული. იმ დროს, როდესაც საქართველოს მთავრობა ჯერ კიდევ იმედოვნებდა დასავლეთის სახელმწიფოებთან, განსაკუთრებით კი პოლონეთთან, მჭიდრო პოლიტიკური, სამხედრო და ეკონომიკური თანამშრომლობის განვითარებას, მათ შორის საერთაშორისო აღიარების განმტკიცებას, სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის შექმნასა და ეკონომიკური ურთიერთობების გაფართოებას, ბოლშევიკური რუსეთის სამხედრო ხელმძღვანელობას საქართველოს წინააღმ-დეგ სამხედრო ოპერაცია ფაქტობრივად დაგეგმილი ჰქონდა. ჰეკერის შეფასებით, ოპერაციის წარმატებით განხორციელებისთვის აუცილებელი იყო სამი ძირითადი პირობის შესრულება: საკმარისი სამხედრო ძალების კონცენტრირება, ლოჯისტიკური და სასურსათო უზრუნველყოფის სრულყოფილი ორგანიზება და თურქეთის სამხედრო ხელმძღვანელობასთან შეთანხმების მიღწევა. ამ დროს, მოხსენებაში არაფერია ნათქვამი არც დასავლეთის დიდი სახელმწიფოებისა და არც პოლონეთის შესაძლო სამხედრო თუ პოლიტიკურ ჩარევაზე მიმდინარე პროცესებში საქართველოს სასარგებლოდ, რაც გვაფიქრებინებს, რომ 1920 წლის დეკემბრისთვის საბჭოთა სამხედრო ხელმძღვანელობა ამ მიმართულებით მნიშვნელოვან წინააღმდეგობას აღარ ელოდა (სეა, სცა, ფ. 1864, ან. 2, საქმ. 258, ფ. 1-6).

[19] საქართველოს მთავრობის მეთაური ნოე ჟორდანია 1920 წლის მაისის დასაწყისში რუსეთ-საქართველოს შორის განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით აღნიშნავდა: „...საზოგადოთ რუსის შიში დიდი იყო. თუ რუსეთი დაიძრა, ვერას გავაწყობთო. საჭირო იყო დიდი მუშაობა, რომ ასეთი პანიკური განწყობილება შეგვესუსტებინა. სწორედ ამ დროს მოხდა მოსკოვთან ხელშეკრულების დადება და მით ომიც შეჩერდა. აშკარა იყო მოსკოვის ორი ტენდენცია: ერთი – პოლიტიკური და მეზობლური, მეორე – იმპერიალისტური. ამ უკანასკნელს მეთაურობდა ტროცკი, სამხედრო მინისტრი და სტალინი, ეროვნებათა მინისტრი (კომისარი), პირველს კი ლენინი, პირველმა ორმა უბრძანეს თავის ჯარს აზერბაიჯანში ჩვენი დაპყრობა. ეგონათ ადვილი იქნებოდა, ხოლო როცა ლენინმა დაინახა რომ უომოთ ეს არ შეიძლებოდა, ევროპის სკანდალს მოერიდა და გადასწყვიტა ხელშეკრულების დადება“ (ჟორდანია, 1990, გვ. 16-17).

საქართველოს თავისი მცირერიცხოვანი პროლეტარიატით, არცერთ შემთხვევაში, არ შეეძლო მნიშვნელოვანი როლი ეთამაშა მსოფლიო რევოლუციის ბედის განსაზღვრაში, რაც საბჭოთა პოლიტიკის პრიორიტეტული მიმართულება იყო.

ჩამოთვლილი ოთხი მიზეზიდან გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა ორს: საქართველოს ტერიტორიის, როგორც სატრანზიტო დერეფნის გამოყენებას და ქართველი ბოლშევიკების მხარდაჭერას. შესაბამისად, საქართველოში ელჩად დანიშნული კიროვის დიპლომატიური საქმიანობაც, არსებითად, სწორედ ამ ორი მიმართულების განხორციელებას ემსახურებოდა (Kazemzadeh, 1951, p. 301). თუმცა, მხოლოდ ამ არგუმენტებით რთულია აიხსნას, თუ რატომ შეიცვალა საბჭოთა ხელისუფლების პოლიტიკა საქართველოს მიმართ სწორედ 1920 წლის მაისში. ჩვენი შეფასებით, ამ ორ მიზეზს კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოებაც უნდა დაემატოს – პოლონეთ-საბჭოთა რუსეთის ომის მიმდინარეობის ფონზე საქართველოს განეიტრალების საჭიროება. შესაბამისად, საბჭოთა რუსეთის მიერ 5 მაისს საომარი მოქმედებების მოულოდნელი შეწყვეტა იძლევა საფუძველს ვივარაუდოთ, რომ მოსკოვი, გარკვეულწილად, უფრთხოდა პოლონეთისა და საქართველოს შესაძლო სამხედრო-პოლიტიკურ დაახლოებას და ორ ფრონტზე ბრძოლის პერსპექტივას. ამდენად, 1920 წლის 7 მაისის ხელშეკრულება, პოლონეთ-საბჭოთა ომში საქართველოს ჩაბმის თავიდან აცილებასაც ემსახურებოდა.[20]

ამგვარ ინტერპრეტაციას დამატებით ამყარებს იმდროინდელი საბჭოთა ოფიციალური პრესის ანალიზი. განხილული მოვლენების თანმიმდევრობა ცხადყოფს, რომ 1920 წლის 1-5 მაისის სამხედრო შეტაკებებს სულ რამდენიმე დღეში მოჰყვა ჯერ 7 მაისს საქართველო-რუსეთს შორის სამშვიდობო ხელშეკრულების გაფორმება, ხოლო 9 მაისს გაზეთ „პრავდაში“ საქართველოს მიმართ აშკარად შემრიგებლური ტონის მქონე ორი სტატიის გამოქვეყნება. ჩვენი აზრით, ეს ქრონოლოგიური თანხვედრა საფუძველს იძლევა ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული მოვლენები საბჭოთა ხელისუფლების ერთიანი ტაქტიკური ხაზის ფარგლებში განხორციელებული ნაბიჯები იყო.

საქართველოსთან ხელმოწერილი სამშვიდობო ხელშეკრულების მნიშვნელობაზე, შესაძლოა, დამატებით მიუთითებდეს 1920 წლის 9 მაისის „პრავდის“ ერთსა და იმავე ნომერში, ერთსა და იმავე გვერდზე, ორი დამოუკიდებელი სტატიის გამოქვეყნება. ერთში – „Мир с Грузией“ (ავტორი - ა. მირსკი) – ხელშეკრულების პოლიტიკური შეფასებაა წარმოდგენილი, მეორეში – „Договор с Грузией“ (ავტორის გარეშე) – კი მისი ძირითადი დებულებებია განხილული. ამასთან, გაზეთის ანონსების

[20] 1920 წლის შემოდგომაზე პოლონეთში საქართველოს წარმომადგენლობაზე მიცემულ ინსტრუქციაშიც საქართველოს მთავრობა ხაზს უსვამდა რუსეთისადმი კეთილგანწყობილ დამოკიდებულებას და მოსკოვის ხელშეკრულების პირობების მკაცრად დაცვის აუცილებლობას. დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „არც ერთი ნაბიჯი, არც ერთი განცხადება – არც პრესაში და არც ოფიციალურ ნოტებში – არ უნდა შეიცავდეს რაიმე მტრულს საბჭოთა რუსეთის მიმართ. ჩვენ მას ვეკიდებით, როგორც სახელმწიფოს, რომელთან ხელშეკრულებით მოწესრიგებული ურთიერთობები გვაკავშირებს. ...პოლონეთსა და რუსეთს შორის არსებული ცალკეული სადავო საკითხები – იქნება ეს ტერიტორიული თუ სხვა სახის – ჩვენი ურთიერთობების ფარგლებს სცილდება. ჩვენ არ უნდა ჩავერიოთ ამ სფეროში. ამ საკითხებში ჩართვა სრულიად დაუშვებელია“ (სეა, სცა, ფ. 1864, ან. 2, საქმ. 404, ფ. 6).

ისტორიკოსი ლ. თოიძე გამოთქვამს მოსაზრებას, რომ 1920 წლის 28 აპრილიდან 6 მაისამდე მოსკოვში საბჭოთა რუსეთსა და საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მიმდინარე მოლაპარაკებებში ქართული მხარე უფრო აქტიურობდა. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ რომ საქართველოს ჯერიც დადგებოდა, ქართულ მხარეს ეჭვი არ ეპარებოდა. ქართველი მკვლევრის შენიშვნით, ლენინის ხელისუფლებაც არანაკლებ იყო დაინტერესებული საქართველოსთან ზავის გაფორმებით, რაც რამდენიმე მიზეზით იყო განპირობებული: 1. თუ საქართველოს გასაბჭოება უმტკივნეულოდ მოხდებოდა, რუსეთის ცკ-ის პოლიტბიურო ამის წინააღმდეგი არ იქნებოდა, მაგრამ ქართველთა მხრიდან სერიოზული წინააღმდეგობა დაფიქსირდა; 2. ლენინმა არჩია ყურად ეღო დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრის კერზონის მოთხოვნა, დათანხმებულიყო ვრანგელის ამნისტიას და ყირიმის და კავკასიის მიმართულებით საომარი მოქმედებები შეეჩერებინა. ეს მას შესაძლებლობას მისცემდა მთელი ყურადღება მთავარ საფრთხეზე (პოლონეთთან მიმდინარე ომი...) გადაეტანა. მითუმეტეს, რომ „ყველაფერი ძვირფასი“ (ბაქოს ნავთობი) უკვე ხელთ ჰქონდათ... (თოიძე, 1991, გვ. 15-16).

რუბრიკაში დღის სამი მთავარი თემიდან ერთი სწორედ საქართველოსთან გაფორმებული სამშვიდობო ხელშეკრულებაა, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ ეს ფაქტი საბჭოთა რუსეთის საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენად აღიქმებოდა (Мирский, 1920, с.1; Договор с Грузией, 1920, с. 1).

სტატიაში „Мир с Грузией" საქართველოს მთავრობის პოზიცია, აშკარად, დადებითად არის შეფასებული:

„არ შეიძლება კმაყოფილებით არ აღინიშნოს ის გარემოებაც, რომ პოლონელი ჰანების დროებითმა წარმატებამ საქართველოს წარმომადგენლები ოდნავადაც არ დაებნია. ამით მათ უდავოდ დაამტკიცეს თავიანთი გულწრფელობა და იმის გაგება, რომ სასაზღვრო სახელმწიფოების ბედი მჭიდროდ არის დაკავშირებული საბჭოთა რუსეთის არსებობასთან. თუ საბჭოთა რუსეთი აღარ იარსებებს, აღარ იარსებებს არც დამოუკიდებელი საქართველო, არც სომხეთი, არც ლიტვა, არც ლატვია და, ბოლოს, არც დამოუკიდებელი პოლონეთი". ამის დასტურად ავტორს პოლონელი ხალხის მრავალწლიანი მონობა და მეფის რუსეთის მიერ მისი ჩაგვრა მოჰყავს (Мирский, 1920, с. 1).

ჩვენი შეფასებით, ეს ციტატა განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს, რადგან „პრავდა" საქართველოს მთავრობის დადებით შეფასებას არა ზოგადად, არამედ უშუალოდ პოლონეთ-საბჭოთა ომის კონტექსტში აკეთებს. ფაქტობრივად, გაზეთი საქართველოს „გულწრფელობას" სწორედ იმით ხსნის, რომ პოლონეთის სამხედრო წარმატებამ მისი პოლიტიკური პოზიცია არ შეცვალა. ეს გარემოება დამატებით ამყარებს ჩვენს ვარაუდს, რომ 1920 წლის მაისში საბჭოთა ხელისუფლების საქართველოს მიმართ შემრიგებლური პოლიტიკა მჭიდროდ იყო დაკავშირებული პოლონეთის ფრონტზე შექმნილ ვითარებასთან.

თუმცა, საქართველოსთან სამშვიდობო ხელშეკრულებას მხოლოდ პოლიტიკური და პროპაგანდისტული დატვირთვა არ ჰქონია. მას ორივე მხარისთვის პრაქტიკული შედეგებიც მოჰყვა. ხელშეკრულების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი შედეგი საბჭოთა რუსეთისთვის ბათუმის პორტზე წვდომის შესაძლებლობის მოპოვება იყო. აზერბაიჯანის გასაბჭოების შემდეგ ბათუმმა ბოლშევიკური რუსეთისთვის განსაკუთრებული სამხედრო-სტრატეგიული და ეკონომიკური მნიშვნელობა შეიძინა. საქართველოსთვის კი აღნიშნული ხელშეკრულება, სულ მცირე, ჩრდილოეთიდან მომდინარე სამხედრო საფრთხის, თუნდაც დროებით, შეჩერებას ნიშნავდა, რაც მთავრობას შესაძლებლობას აძლევდა, ყურადღება ქვეყნის უსაფრთხოებისა და საგარეო პოლიტიკის სხვა აქტუალური საკითხებისკენ მიემართა.

თუმცა, 1920 წლის მაისში საქართველოსთვის შექმნილი შედარებით ხელსაყრელი საერთაშორისო კონიუნქტურა ხანმოკლე აღმოჩნდა. მიუხედავად იმისა, რომ პილსუდსკიმ ვარშავის ბრძოლაში სამხედრო წარმატებას მიაღწია, Intermarium-ის პროექტმა პოლიტიკური რეალიზაცია ვერ ჰპოვა, ხოლო პოლონური-ქართულ სამხედრო ალიანსის შექმნის მცდელობა – მიუხედავად მისი სტრატეგიული მიზანშეწონილობისა – გეოპოლიტიკური, სამხედრო, ლოჯისტიკური ფაქტორების და 1920 წლის მეორე ნახევრიდან, საკუთრივ პოლონეთის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილების გამო, ვერ განხორციელდა.

ამდენად, საქართველოსთვის 1920 წელს შექმნილი ხელსაყრელი ვითარება პოლონეთ–საბჭოთა რუსეთის ომის კონკრეტულ ეტაპთან იყო დაკავშირებული და არა გრძელვადიან საერთაშორისო გარანტიებთან.

დასკვნა. წინამდებარე კვლევაში ნაჩვენებია, რომ 1918-1921 წლების პოლონურ-ქართული ურთიერთობები სცილდებოდა ორ სახელმწიფოს შორის სტანდარტული დიპლომატიური კავშირის ფარგლებს. მიუხედავად მათ შორის არსებული დიდი მანძილისა, ორმა ქვეყანამ სცადა სტრატეგიული პარტნიორობის ჩამოყალიბება, რაც ნაკარნახევი იყო მათი ეროვნული ინტერესებისა და უსაფრთხოების უზრუნველყოფის საერთო სურვილით. პოლონეთის ლიდერის გეოპოლიტიკურ კონცეფციაში საქართველოს, როგორც შავი ზღვის აუზის უმნიშვნელოვანეს აქტორს, განსაკუთრე-

ბული ფუნქციური დატვირთვა[21] ჰქონდა, ხოლო ქართული მხარისთვის პოლონური ინიციატივა სუვერენიტეტის შენარჩუნების ალტერნატიულ მექანიზმად განიხილებოდა.

კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ სამხედრო-პოლიტიკური ალიანსის ჩაშლა განაპირობა ფაქტორების ერთობლიობამ:

1. **სამხედრო-ლოჯისტიკურმა სირთულეებმა და გეოგრაფიულმა იზოლაციამ** – მოკავშირეთა მნიშვნელოვანი დაშორების გამო კრიტიკულ მომენტში ოპერატიული და ეფექტური სამხედრო-მატერიალური დახმარების მიღება გართულდებოდა;

2. **არახელსაყრელმა რეგიონულმა კონიუნქტურამ** – ორმხრივი ურთიერთობები ვითარდებოდა აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიაში მიმდინარე ინტენსიური საომარი მოქმედებებისა და ტერიტორიული გადანაწილებების ფონზე;

3. **პოლონეთის საგარეო-პოლიტიკური პრიორიტეტების ცვლილებამ** – საბჭოთა რუსეთთან ომის სწრაფად დასრულებისა და აღმოსავლეთ საზღვრების საერთაშორისო-სამართლებრივი განმტკიცებისკენ მიმართულმა პოლიტიკამ, რომელიც საბოლოოდ 1921 წლის რიგის ზავით დაგვირგვინდა, საბოლოოდ დაუსვა წერტილი პოლონურ-ქართული სამხედრო თანამშრომლობის პერსპექტივას აღნიშნულ ეტაპზე;

4. **საერთაშორისო სისტემის ინდიფერენტულობამ** – დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური პრიორიტეტები მცირე სახელმწიფოების ინტერესებს არ ემთხვეოდა,[22] რაც ვერსალის სისტემის სტრუქტურულ ნაკლოვანებაზე მიუთითებდა და მოგვიანებით, მეორე მსოფლიო ომის წინარე პერიოდშიც, მკაფიოდ გამოვლინდა.

ისტორიოგრაფიაში Intermarium-ის პროექტთან დაკავშირებით ორ რადიკალურად განსხვავებულ შეფასებას ვაწყდებით: ერთი მხრივ, იგი განიხილება იოზეფ პილსუდსკის წინდახედულ, სტრატეგიულ ხედვად, რომელსაც ევროპის პოლიტიკური რუკის ტრანსფორმაცია შეეძლო; მეორე მხრივ კი – ანტიკომუნისტურ, ჰეგემონურ ფანტაზიად, რომელიც მოკლებული იყო რეალისტურ საფუძვლებს. განხილული პერიოდის პოლონურ-ქართული ურთიერთობების ანალიზის საფუძველზე

---

[21] ამის დადასტურებაა უკრაინაში საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური მისიის სამხედრო ატაშის, არტილერიის კაპიტან ა. სვანიძის 1920 წლის 13 იანვრით დათარიღებული მოხსენება, რომელიც შვეიცარიაში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენლობის სახელზე იყო გაგზავნილი. სვანიძე ხაზს უსვამდა პოლონელების კეთილგანწყობას ქართველების მიმართ და აღნიშნავდა, რომ პოლონეთის მთავრობას უკვე დანიშნული ჰყავდა ტიტუს ფილიპოვიჩი ამიერკავკასიაში გამოსაგზავნი სპეციალური მისიის ხელმძღვანელად. იგი განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებდა იმ გარემოებაზე, რომ მისიის მუდმივ ადგილსამყოფელად სწორედ თბილისი იყო განსაზღვრული, ხოლო მისი კავკასიაში გამგზავრება უკვე 1920 წლის იანვრის ბოლოს იყო დაგეგმილი. ამავე მოხსენების მიხედვით, სვანიძეს უკვე ჰქონდა შეხვედრა მისიის ყველა წევრთან, რომლებსაც საქართველოს იმჟამინდელი პოლიტიკური და სამხედრო მდგომარეობა გააცნო (Мамуля, 2011, с. 146).

[22] დიდი სახელმწიფოების გეოპოლიტიკური პრიორიტეტებსა და მცირე სახელმწიფოების ინტერესებს შორის არსებული წინააღმდეგობა საქართველოსა და დიდი ბრიტანეთის ურთიერთობებზეც მკაფიოდ აისახა, რასაც საქართველოს ეროვნულ არქივში დაცული დოკუმენტებიც ადასტურებს. მაგალითად, 1919 წლის 25 მაისით დათარიღებულ ინფორმაციაში საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე პარიზში მყოფ საქართველოს დელეგაციას სთხოვდა, მხედველობაში მიეღოთ ის გარემოება, რომ „ამ ექვსი თვის განმავლობაში ინგლისელების აქ ყოფნამ და მათმა მოღვაწეობამ კავკასიაში და სამხრეთით არა თუ არ გააუმჯობესა მდგომარეობა საზოგადოთ და კერძოთ ჩვენში, არამედ ძლიერ გაამწვავა და გააუარესა...“ (სეა, სცა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 33, ფ. 12). 1920 წლის 21 სექტემბერს პოლონეთში მოქმედი ქართული კომიტეტი კი ბერნში მყოფ საქართველოს წარმომადგენელს აცნობებდა ინგლისის პოლიტიკურ წრეებში საქართველოს როგორც გერმანოფილური სახელმწიფოს შესახებ გავრცელებული მოსაზრების თაობაზე. კომიტეტის შეფასებით, „აშკარაა, რომ ეს არის მორიგი პროპაგანდა, მაგრამ ისეთ დიდ და სერიოზულ სახელმწიფოში, როგორიც არის პოლონეთი, ეჭვებს ბადებს და მის გასაქარვებლად საჭირო განმარტება მივაწოდეთ. ეს მართლაც პროვოკაციაა...“. ამასთანავე, კომიტეტი ითხოვდა საქართველოს შესახებ ინფორმაციის, ბროშურებისა და უახლესი პერიოდული გამოცემების გაგზავნას, რათა პოლონეთის მთავრობისა და პრესის წარმომადგენლებს საქართველოს იმდროინდელი მდგომარეობის შესახებ ობიექტური და სრულყოფილი წარმოდგენა შექმნოდათ (სეა, სცა, ფ. 1864, ან. 2, საქ. 398, ფ. 5).

შეიძლება ითქვას, რომ მხარეთა პოლიტიკური ნებისა და ინტერესების ორმხრივი ბუნებიდან გამომდინარე, თეორიულ დონეზე, ალიანსის კონცეფცია ურთიერთთავსებადი და პოლიტიკურად დასაბუთებული იყო. თუმცა, გადამწყვეტი აღმოჩნდა მისი პრაქტიკული განხორციელების სუსტი მექანიზმები და შეზღუდული დრო.

კვლევის სიახლე მდგომარეობს იმაში, რომ პოლონეთ-საქართველოს 1918-1921 წლების ურთიერთობები გაანალიზებულია არა მხოლოდ ორმხრივი დიპლომატიური ურთიერთობების, არამედ Intermarium-ის სამხრეთ კავკასიური მიმართულების კონტექსტში. ქართული და პოლონური პირველწყაროების ერთობლივმა ანალიზმა შესაძლებელი გახადა პოლონურ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის მცდელობის რეკონსტრუქცია და იმ ფაქტორთა კომპლექსური შეფასება, რომლებმაც მისი პრაქტიკული განხორციელება შეაფერხა.

სახელმწიფოს მდებარეობა დიდწილად განსაზღვრავს მის როლს ისეთი კოლექტიური უსაფრთხოების სისტემაში, რომლის გეოგრაფიული არეალიც საკმაოდ ვრცელია. გეოგრაფიულად რაც უფრო შორს არის ეს სახელმწიფო მოკავშირეებისგან, მტრულ გარემოცვაში იგი მით უფრო მოწყვლადი ხდება.

ამგვარად, კვლევის შედეგები შესაბამისობაშია გრიგოლ რობაქიძის ეპიგრაფში გამოთქმულ „გეოგრაფიის ტრაგედიის“ იდეასთან. საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა, რომელიც ერთდროულად განაპირობებდა მის სტრატეგიულ მნიშვნელობას და ზრდიდა მის მოწყვლადობას, 1918-1921 წლებში პოლონეთთან სამხედრო-პოლიტიკური თანამშრომლობის განხორციელების ერთ-ერთ შემზღუდველ ფაქტორად იქცა.

კვლევამ დაადასტურა, რომ ფორმალური სამართლებრივი გარანტიების არარსებობა კრიზისის პერიოდში, სახელმწიფოს თავდაცვისუნარიანობას მინიმუმამდე ამცირებს. 1918-1921 წლების გამოცდილებამ გამოააშკარავა მცირე სახელმწიფოების ტრადიციული, ბუნდოვანი სტატუსი საერთაშორისო ასპარეზზე: საქართველო წარმოადგენდა სტრატეგიულად ღირებულ, თუმცა უსაფრთხოების მყარი გარანტიების არმქონე „ბუფერულ ზონას“, რისი თვალსაჩინო ილუსტრაციაც Intermarium-ის პროექტის წარუმატებლობაა.

ამასთანავე, კვლევის შედეგებმა აჩვენა, რომ პოლონეთ-საქართველოს 1918-1921 წლების ურთიერთობები მხოლოდ ორმხრივი დიპლომატიური თანამშრომლობის ფარგლებში არ უნდა განიხილებოდეს. მოვლენების ანალიზმა პილსუდსკის Intermarium-ის კონცეფციის სამხრეთ კავკასიური მიმართულების კონტექსტში წარმოაჩინა, რომ დიპლომატიური თანამშრომლობის პარალელურად, პოლონურ-ქართული სამხედრო-პოლიტიკური დაახლოების მცდელობა უფრო ფართო რეგიონული უსაფრთხოების პროექტის შემადგენელი ნაწილი იყო, რომლის განხორციელება სამხედრო-ლოჯისტიკური, საერთაშორისო და გეოპოლიტიკური ფაქტორების ერთობლიობამ შეაფერხა. აღნიშნული მიდგომა საშუალებას იძლევა, პოლონეთ-საქართველოს ურთიერთობები შეფასდეს არა მხოლოდ ორმხრივი დიპლომატიის, არამედ ევროპის აღმოსავლეთ ნაწილის კოლექტიური უსაფრთხოების კონცეფციის ჭრილშიც.

ბიბლიოგრაფია

საარქივო წყაროები

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 33, ფურცელი 12.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 258, ფურცლები 1-6.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 376, ფურცლები 1-8.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 398, ფურცელი 5.

საქართველოს ეროვნული არქივი, საისტორიო ცენტრალური არქივი. ფონდი 1864, ანაწერი 2, საქმე 404, ფურცელი 6.

ხოსიტაშვილი, მ. (რედ.). (2019). *საქართველოს დამფუძნებელი კრება: სხდომების ოქმები (ტ. 5)*. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა.

გაზეთები და სხვა პირველწყაროები

პოლონეთი და საქართველო. (1920, 25 მარტი). *საქართველო*, № 64, გვ. 4. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/149241/1/Sakartvelo_1920_N64.pdf

რობაქიძე, გრ. (1920). *ევროპის სოციალისტურ დელეგაციას მწერალთა სახელით*. https://poetry.ge/poets/grigol-robakidze/publication/14-grigol-robaqidzis-sitkva-evropis-socialistur-delegacias-mweralta-saxelit

Договор с Грузией. (1920, 9 мая). *Правда*. https://yandex.ru/archive/catalog/d5b28dcc-4e9a-4a18-931c-66a3403acf82/1

Мирский, А. (1920, 9 мая). Мир с Грузией. *Правда*. https://yandex.ru/archive/catalog/d5b28dcc-4e9a-4a18-931c-66a3403acf82/1

ქართულენოვანი ლიტერატურა

ავალიშვილი, ზ. (1990). *საქართველოს დამოუკიდებლობა 1918-1921 წლების საერთაშორისო პოლიტიკაში: მოგონებანი, ნარკვევები*. კოოპერატივი „ნიამორა“.

ალსტონი, შ. (2018). ბალტიური დიპლომატია და პირველი მსოფლიო ომის შემდგომი გარიგებები. ო. ჯანელიძისა და დ. სილაქაძის (რედ.), *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება ასი წლის შემდეგ: მოდელი ევროპისთვის?* (გვ. 95-116). ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ბერიშვილი, ტ. (2021). საერთაშორისო პოლიტიკური კონტექსტი მეორე სოციალისტური ინტერნაციონალის საქართველოში ვიზიტისას. ზ. გაიპარაშვილის (რედ.), *ევროპელი სოციალისტების ვიზიტი საქართველოში: 1920*. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა.

თოიძე, ლ. (1991). *ინტერვენციაც, ოკუპაციაც, ძალდატანებითი გასაბჭოებაც, ფაქტობრივი ანექსიაც: რუსეთ-საქართველოს 1921 წლის თებერვალ-მარტის ომის შეფასებისათვის*. კოოპერაციული გამომცემლობა „ივერთა მხარე“.

კირთაძე, ნ. (1998). *საქართველოს დამოუკიდებლობა და ქართულ-ევროპული ურთიერთობები: 1919–1923 წწ.* [დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტი]. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის ციფრული ბიბლიოთეკა. https://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/576625

კობახიძე, ბ. (2015). *საქართველოს საკითხი პარიზის საზავო კონფერენციაზე* [სადოქტორო დისერტაცია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი]. https://www.tsu.ge/assets/media/files/48/disertaciebi/Beqa_Kobaxidze.pdf

ჟორდანია, ნ. (1990). *ჩემი წარსული*. რუსთაველის საზოგადოების გამომცემლობა „სარანგი“.

სარალიძე, ლ. (2008). *იოსებ პილსუდსკი და პოლონელი ხალხის ბრძოლა აგრესიის წინააღმდეგ* (მეომრის ბიბლიოთეკა, № 19). ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. https://ijhei.wordpress.com/wp-content/uploads/2010/03/ioseb_pilsudski.pdf

ჯანელიძე, ო. (2018). *საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის ისტორიის ნარკვევები*. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა. https://dspace.nplg.gov.ge/bitstream/1234/271051/4/SaqartvelosDemokratiuliRespublikisNarkvevebi.pdf

ჯიბაშვილი, ო., & დიასამიძე, ხ. (2013). ბათუმი როტშილდების სამრეწველო ინტერესებში. *ბათუმი: წარსული და თანამედროვეობა, 4*, 241-246.

უცხოენოვანი ლიტერატურა

Baramidze, I., Jibashvili, O., & Diasamidze, K. (2020). Georgia at the Paris Peace Conference (1919-1920). *History and Historians in the Context of the Time, 18*(1), 3-11.

Borzecki, J. (2008). *The Soviet-Polish peace of 1921 and the creation of interwar Europe*. Yale University Press.

Dziewanowski, M. K. (1969). *Joseph Piłsudski: A European federalist, 1918-1922*. Hoover Institution Press.

Jędrzejewicz, W. (1982). *Piłsudski: A life for Poland*. Hippocrene Books.

Kazemzadeh, F. (1951). *The struggle for Transcaucasia (1917-1921)*. Philosophical Library. https://babel.hathitrust.org/cgi/pt?id=mdp.39015002294687&seq=9

Materski, W. (1991). Misja Tytusa Filipowicza w Tbilisi (kwiecień 1920 r.). *Pro Georgia: Prace i materiały do dziejów stosunków gruzińsko-polskich, 1*, 26-28. https://studium.uw.edu.pl/wp-content/uploads/2018/12/PRO-GEORGIA-compressed.pdf

Materski, W. (2019). Uwięzienie szefa Misji Specjalnej RP do republik Kaukazu Południowego Tytusa Filipowicza (w świetle szczątkowej dokumentacji). *Pro Georgia: Journal of Kartvelological Studies, 29*, 137-158.

Мамуля, Г. (2011). От Тифлиса до Киева и Варшавы: Из истории кавказско-украинского сотрудничества в рамках движения «Прометей». *Nowy Prometeusz, 1*, 133-155.

Piłsudski, J. (1971). *The memories of a Polish revolutionary and soldier* (D. R. Gillie, Trans. & Ed.). AMS Press.

Światłowski, B. (2014). Prometejska racja stanu: Źródła i dzieje ruchu prometejskiego w II Rzeczypospolitej. *Poliarchia, 2*(2), 147-180. https://doi.org/10.12797/Poliarchia.02.2014.02.08

Waingertner, P. (2022). *Międzymorze – wizja, iluzja czy… racja stanu? Z dziejów polskiej myśli i praktyki politycznej*. Wydawnictwo Uniwersytetu Łódzkiego. https://doi.org/10.18778/8331-090-9

Wiatr, J. J. (1988). *The soldier and the nation: The role of the military in Polish politics, 1918-1985*. Westview Press. https://archive.org/details/soldiernationrol0000wiat/page/10/mode/2up

Włodarczyk, M. (2016). Stosunki polsko-gruzińskie w latach 1918-1921. *Świat Idei i Polityki, 15*, 452-476. https://czasopisma.ukw.edu.pl/index.php/sip/article/view/514/507

Zając, O. (2020). The map as political manifesto: The case of Karta Dawnej Polski and Hôtel Lambert's concepts of the Polish state and nation. *Zeitschrift für Ostmitteleuropa-Forschung, 69*(3), 327-354. https://www.zfo-online.de/portal/zfo/article/view/10771